ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2021 წელი, 28 აგვისტო, №9 (6536)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი

## ამირან გამყრელიძე – ღმერთმა არ ქნას, ამ ტიპის სიტუაცია იყოს სექტემბრისთვის, როცა სწავლა უნდა დაიწყოს

ღმერთმა არ ქნას, ამ ტიპის სიტუაცია იყოს სექტემბრისთვის, როცა სწავლა უნდა დაიწყოს. დაავადებათა კონტროლის ცენტრი ვერ გასცემს რეკომენდაციას სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით, – ამის შესახებ, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, თუ დადებითობის მაჩვენებელი 4%-ს დაბლა ჩამოვიდა, მაშინ სწავლის განახლების საკითხი დადგება.



## 28 აგვისტო (ახ. სტ.) – მიძინება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა (მარიამობა)



ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ იერუსალიმში ცხოვრობდა, იოანე ღვთისმეტყველის სახლში. უბიწო ქალწული მოციქულებთან ერთად ლოცულობდა, უყვებოდა მათ ძე ღვთისას შესახებ, ნუგეშს სცემდა და განამტკიცებდა. ყველანი საოცარ მოწიწებას გრძნობდნენ დაუტევნელის დამტევნელი დედის მიმართ. სხვა ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ მის სანახავად და მისი მადლმოსილი სიტყვების მოსასმენად. როცა ჰეროდე მეფემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, 43 წელს, ყოვლადწმიდა მარიამმა იოანე ღვთისმეტყველთან ერთად ეფესოს მიაშურა, იყო კვიპროსზეც – მკვდრეთით აღმდგარ ლაზარესთან, ქრისტიანობა იქადაგა ათონის წმიდა მიწაზე. ბოლოს კი, ღვთის ნებით, კვლავ იერუსალიმს დაუბრუნდა. ის ხშირად ევედრებოდა უფალს, მალე მიეღო მისი სული სასუფეველში. და აი, ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა, გარდამოხდა გაბრიელ მთავარანგელოზი ხელში ზეთისხილის რტოთი და უბიწო ქალწულს ახარა: „გიხაროდენ მარიამ, რომელმან ჰშვენ ღმერთი ჩუჱნი, ლოცვა შენი აღვიდა წინაშე ძისა შენისა და შეწირულ იქმნა, ამიერიდგან დაუტევებ სოფელსა, ნეტარო, და ზეცასა აღხვალ!„ღვთისმშობელი დიდად გაახარა ამ უწყებამ და მიცვალებისათვის მზადება დაიწყო. მოციქულები ამ დროისათვის იერუსალიმში არ იყვნენ – სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ, მაგრამ მარიამს ძალიან სურდა, ამსოფლიდან განსვლამდე ყველანი ერთად ეხილა. უფალმა ეს სურვილიც აუსრულა ნეტარს: მეყსეულად შემოჰკრიბა მასთან მაცხოვრის ყველა მოწაფე. ხუთი მათგანი მკვდრეთით აღმდგარიყო. მოციქულები მიესალმნენ მას და მოუთხრეს, თუ როგორ იქნენ აღტაცებულნი მოღვაწეობის ადგილებიდან. გახარებულმა უბიწო ქალწულმა მადლობა შესწირა ღმერთს, შემდეგ კი თავის მიცვალებაზე დაიწყო საუბარი. სწორედ ამ დროს ასევე სასწაულებრივ წარდგა მათ წინაშე პავლე მოციქულიც თავისი მოწაფეების: დიონისე არეოპაგელის, საკვირველი იეროთეოსის, ღვთაებრივი ტიმოთეს და სხვა სამოცდაათთაგანთა თანხლებით. მარიამი სახელებით უხმობდა ყველას, ქებას ასხამდა მათ სარწმუნოებას და აკურთხებდა. შემდეგ წმიდა დედა იაკობ მღვდელმთავრის ხელით ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარა. მესამე ჟამს – ღვთისმშობლის ამსოფლიდან გასვლისას საოცარი ნათლით გაბრწყინდა ის ოთახი, რომელშიც იგი იწვა, „იქმნა დიდებით განსაკჳრვებელი მოსლვა ქრისტეს ღვთისა და ძისა მისისა დიდებითა მით გამოუთქმელითა“. მან წმიდა და ყოვლად უბიწო სული მშობლისა თვისისა „საღმრთოთა მათ და უხრწნელთა მკლავთა თჳსთა ზედა მიირქუა„და ანგელოზთა გალობის თანხლებით აამაღლა ზეცად. მთელი სახლი საოცარი სურნელებით აივსო. მოციქულები კრძალვით მიეახლნენ ნათელშემომდგარ წმიდა ცხედარს, შემოკრბენ „სნეულნი და არა ძლებულნიც„და მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულა. ქრისტეს მოწაფეებმა ღამე ლოცვაში გაათიეს და პარასკევ დილით ღვთისმშობლის პატიოსანი ნეშტი სიონიდან გეთსიმანიაში გადაასვენეს. გაბოროტებულ ურიათაგან ერთ-ერთმა, „იწყო დაქცევად ცხედრისა, ვითარ-იგი მოციქულთა ეტჳრთა„, მაგრამ უფლის ანგელოზმა ცეცხლოვანი მახვილით ორივე მხარი მოჰკვეთა მკრეხელს, რომლებიც ცხედრის მახლობლად, ჰაერში დაეკიდა. მოციქულებმა წმიდა ცხედარი დაასვენეს და უბიწო ქალწულს შეავედრეს მონანული. მოკვეთილი მკლავები მას ისე სასწაულებრივად მიეზარდა მხრებზე, რომ ჭრილობის კვალიც აღარსად ჩანდა. მოციქულებმა ღვთისმშობლის წმიდა გვამი აკლდამაში დაკრძალეს. ყოვლადწმიდა მარიამის მიძინებას ერთი ათორმეტთაგანი – თომა ვერ შეესწრო. ღვთის განგებით, იგი სწორედ კვირა ღამეს მივიდა გეთსიმანიაში და ღვთისმშობლის გარდაცვალებით შეწუხებულმა, ითხოვა, საფლავი გაეხსნათ, რომ წმიდა გვამისთვის თაყვანი ეცა. კარი მართლაც გაალეს, მაგრამ აკლდამა ცარიელი დაუხვდათ. მაშინ, ერთი ცნობით, „გამობრწყინდა ნათელი ბრწყინვალე, წინაშე კიდობანსა მას, ვითარცა ხორცითა და ჩვეულებისაებრ მდგომარე იხილეს წმიდა ღვთისმშობელი და თაყუანისცეს“. ყოვლადწმიდამ თომა ახლოს მიიხმო და მისი სარწმუნოების აღიარება რომ მოისმინა, „შეიტკბო და აკურთხნა და უჩინო იქმნა“. სხვა წყაროთა მოწმობით, ყოვლადწმიდა მარიამი მაშინ გამოუჩნდათ გაოცებულ მოციქულებს, როცა შინ დაბრუნდნენ და ტრაპეზს შემოუსხდნენ. ღვთისმშობელმა მათ მიმართა: „გიხაროდენ! მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა შინა“.

**„წმიდანთა ცხოვრება“**

## ... არცერთ დაავადებას სასირცხვილო არაფერი აქვს, ხოლო ექიმთან დაგვიანებით მიმართვამ კი შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს

**.. ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში სახელოვანი, მისაბაძი ექიმია და მისით ჭეშმარიტად უნდა ვიამაყოთ ყვარლელებმა**

*საშუალო განათლება მიიღო ყვარლის I და IV საჯარო სკოლებში. 2002-2008 წლებში დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, ხოლო 2008-2010 წლებში დიპლომის შემდგომი განათლება ზოგადი ქირურგიის მიმართულებით მიიღო ქ. ხარკოვის (უკრაინა) სამედიცინო აკადემიის ქირურგიის და პროქტოლოგიის კათედრაზე.*

*გადამზადების კურსი გაიარა ქ. თბილისში სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი განათლების ბაზაზე, პროქტოლოგიასა და ენდოსკოპიაში. მინი ინვაზიურ პროცედურებში დახელოვნების მიზნით სტაჟირებაზე იმყოფებოდა ქ. ოდესასა და ქ. ზაპოროჟიეში, ლაზერული ოპერაციების კურსი კი ორჯერ გაიარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. დუსელდორფში და ქ. ვიტენში.*

*არის ევროპის კოლოპროქტოლოგთა საზოგადოების (ESCP), ქირურგთა, განსტოენტეროლოგთა და ონკოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის (IASGO) წევრი. მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში.*

*ჩვენი თაობის ადამიანები კარგად ვიცნობდით კოლორიტ პიროვნებას, – შალვა გრატიაშვილს, რომელიც ათეული წლები კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ყვარლელებს. მან ქალბატონ ზინაიდასთან ერთად სამაგალითო ოჯახი შექმნა და სამივე შვილს პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრებინა.*

*სასიამოვნოა, რომ პაპის ტრადიციებს აგრძელებენ შვილიშვილები და ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში. პაპისეულ კვალს გაჰყვა ჩვენი რესპოდენტიც და სრულიად ახალგაზრდა ასაკში სამაგალითო წარმატებებს მიაღწია მედიცინის სფეროში. ამიტომაც შევეხმიანეთ აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრის პროქტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ* **ერეკლე გრატიაშვილს** *და ვთხოვეთ ინტერვიუს ჩასაწერად დრო გამოენახა.*



**– რა არის პროქტოლოგია და ადამიანების რა დაავადებას მკურნალობთ?**

– პროქტოლოგია იგივე კოლოპროქტოლოგია-არის მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის მსხვილი ნაწლავის, ანალური არხის და შორისის მიდამოს დაავადებების ეტიოლოგიას, პათოგენეზს, მორფოლოგიას, ფიზიოლოგიას, დიაგნოსტიკას და მკურნალობას. კოლოპროქტოლოგთა კომპეტენციაში შედის მსხვილი ნაწლავის და ანალური არხის, სწორი ნაწლავის და მისი ირგვლივმდებარე ქსოვილის ანომალიები და განვითარების მანკები; მსხვილი ნაწლავის დივერტიკულოზი და მისი გართულებები; მსხვილი ნაწლავის ფუნქციური დარღვევები (ქრონიკული შეკრულობა, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, დისკინეზია); მსხვილი ნაწლავის ანთებითი დაავადებები, მათ შორის არასპეციფიურ ანთებითი დაავადებები (წყლულოვანი კოლიტი, კრონის დაავადება); პარაპროქტიტი (მწვავე და ქრონიკული); ჰემოროიდული დაავადება (იგივე ბუასილი); ანალურ ნახეთქი; სხვადასხვა სახის ფისტულები (რექტო-ვაგინური, რექტო-ვეზიკულური); პილონიდური სინუსი; მსხვილი ნაწლავის, ანალური არხის და შორისის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნუირ წარმონაქმნები და სხვა; მთლიანობაში საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით კოლოპროქტოლოგია მოიცავს 200-ზე მეტ სხვადასხვა სახის დაავადებას და სინდრომს. მსხვილი ნაწლავის დაავადებების შესახებ ცნობები გვხვდება მედიცინის უძველეს ტრაქტატებში (ჰიპოკრატე, ცელსი, ავიცენა), თუმცა პროქტოლოგიის ცალკე დარგად ჩამოყალიბება დაიწყო მე-19 საუკუნიდან. სწორი ნაწლავის დაავადებების მკურნალობის მრავალი მეთოდია აღწერილი ჰიპოკრატეს შრომებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეებში, ზოგიერთი მათგანი დღემდე გამოიყენება თანამედროვე ექიმების მიერ.

**– ვენეროლოგიურ დაავადებებსაც თუ მკურნალობთ?**

– ვენეროლოგია ეს არის მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს. ვენეროლოგიური დაავადების დიაგნოსტირება შეიძლება მოუხდეს კოლოპროქტოლოგს თავისი საქმიანობის განმავლობაში, თუმცა სრულყოფილი გამოკვლევები და მკურნალობა ინიშნება ვენეროლოგის მიერ.

**– დიაგნოსტიკური ტესტირების უახლოესი მეთოდებიდან რომლებს იყენებთ?**

– აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი აღჭურვილა ულტრათანამედროვე აპარატურით, ამიტომ ვატარებთ მსოფლიოში დანერგილი თანამედროვე კვლევების დიდ უმრავლესობას, კერძოდ პროქტოლოგიურ დეპარტამენტში გამოიყენება: ანოსკოპია, რექტოსკოპია, სფინქტერომეტრია, მენჯის ფსკერის

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე



## შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადება

გაცნობებთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით მოსალოდნელია ტემპერატურის მკვეთრი მომატება. რის გამოც, იზრდება ტყისა და მინდვრის ხანძრების გაჩენის რისკი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

გასათვალისწინებელია, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ, შესაბამისად ნუ დაანაგვიანებთ გარემოს.

დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს.

# ... არცერთ დაავადებას სასირცხვილო არაფერი აქვს, ხოლო ექიმთან დაგვიანებით მიმართვამ კი შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე



კუნთოვანი აპარატის ფუნქციონირების სრულფასოვანი შესწავლა, ირიგოგრაფია, დეფეკოგრაფია, კოლონოსკოპია, კომპიუტერული ტომოგრაფია (კტ), მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია (მრტ), პოზიტრონუ-ემისიური ტომოგრაფია (პეტ-კტ).ამ უკანასკნელის გამო ხშირად უწევდათ ჩვენს ონკოლოგებს პაციენტების გაგზავნა თურქეთში, რაც დიდ ფინანსურ ხარჯთან იყო დაკავშირებული, ამჟამად პეტ-კტ კვლევა წარმატებულად ხორციელდება ჩვენს კლინიკაში კვალიფიციური ექიმების და სამედიცინო პერსონალის მიერ.

**– რას ნიშნავს ლაპარასკოპია და რობოტული ქირურგია?**

– ლაპარასკოპია და რობოტული ქირურგია ეს არის მინიინვაზიური ქირურგია, რომლის დროსაც მცირე ზომის განაკვეთებით, ნაკლებად ტრამვირებადი მიდგომით ხდება ოპერაციების წარმოება, რისთვისაც საჭიროა საკმაოდ ძვირადღირებული აპარატურა, ხელსაწყოები და გამოცდილი სამედიცინო პერსონალი. რობოტული ქირურგია საქართველოში ჯერჯერობით არ არის დანერგილი თავისი ძვირი თვითღირებულობის გამო. ლაპარასკოპია კი უკვე წლებია საქართველოში წარმატებულად ტარდება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. ჩვენი ქირურგები ყოველწლიურად იმაღლებენ კვალიფიკაციას და ღებულობენ გამოცდილებას მედიცინის ამ შედარებით ახალ მიმართულებაში.

**– რა შემთხვევაში უნდა მიმართოს ადამიანმა კოლორექტალურ ქირურგს?**

კოლორექტალურ ქირურგს, კოლოპროქტოლოგს ადამიანმა უნდა მიამრთოს სწორი ნაწლავიდან ნებისმიერი სახის სისხლდენის შემთხვევაში, კუჭის მოქმედების გაუგებარი მიზეზებით არევის ან უმიზეზოთ წონის კლების დროს, ხშირი ფაღარათის ან ქრონიკული შეკრულობის შემთხვევაში, ასევე თუ აღენიშნება ტკივილი, დისკომფორტი ან რაიმე წარმონაქმნის გაჩენა უკანა ტანის არეში.ხშირად სირცხვილის და მორიდების გამო პაციენტები მოგვმართავენ დაგვიანებით, რის გამოც მკვეთრად ურთულდებათ დაავადება და შესაბამისად რთულდება მკურნალობაც. დროულად დაწყებული მკურნალობისას პროქტოლოგიური პრობლემები ადვილად გვარდება, ხშირად მედიკამენტების დანიშვნით, ცხოვრების და კვების რეჟიმის მოდიფიცირებით. დაგვიანებული შემთხვევების მკურნალობა კი ხშირად ოპერაციულია, ახასიათებს მრავალი გართულება და საკმაოდ რთულ რეაბილიტაციას მოითხოვს. ამიტომ ვურჩევ ჩვენს მოქალაქეებს დროულად მიმართონ სპეციალისტს, არცერთ დაავადებას სასირცხვილო არაფერი არ აქვს, ხოლო ექიმთან დაგვიანებით მიმართვამ კი შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

**– რა მოთხოვნებია პროქტოლოგის სერთიფიცირებისათვის, განათლების რა საფეხურების გავლა უწევს?**

– სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში კოლოპროქტოლოგის ლიცენზია რომ მიიღო უნდა ჩააბარო და დაამთავრო რეზიდენტურა ზოგად ქირურგიაში, შემდეგ ჩააბარო სალიცენზიო გამოცდა ქირურგიაში და გადამზადება გაიარო პროქტოლოგიაში.თუ ყველაფერს თავის დროზე მოასწრებ, პროქტოლოგის ლიცენზიისთვის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარებიდან დაახლოებით 11 წელია საჭირო.

**– კუჭნაწლავის ტრაქტთან დაკავშირებული საკითხები მგრძნობიარე სფეროა, სწორი დიაგნოზის დასმისთვის რა მოეთხოვება პაციენტს?**

– საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების სწორი დიაგნოსტირებისთვის პაციენტს მოეთხოვება დროულად მიმართოს ექიმს, სწორად უპასუხოს დასმულ შეკითხვებს და ჩაიტაროს დანიშნული გამოკვლევები. აუცილებელია ყველა იცავდეს სწორი ცხოვრების და კვების რეჟიმს, ამ შემთხვევაში პაციენტი დროულად ამჩნევს პრობლემას და მიმართავს ექიმს. არასწორი კვების დროს პაციენტი ვერ ანსხვავებს დაავადების გამო აქვს პრობლემა თუ მისი არასწორი ქცევით არის გამოწვეული, ამიტომ ხშირად დაგვიანებით მოგვმართავს. ასევე ხშირად არის რომ სხვადასხვა მიზეზის გამო პაციენტები არ იტარებენ ექიმის მიერ დანიშნულ გამოკვლევებს და თვითნებურად ღებულობენ მედიკამენტებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. არასრულყოფილად გამოკვლეული და ნამკურნალები შემთხვევების შემდგომი მართვა უფრო რთულია, ნაკლებ შედეგიანი და უფრო დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია პაციენტმა დროულად მიაკითხოს ექიმს, ხოლო დიაგნოსტირება და მკურნალობა აწარმოოს კვალიფიციურმა სპეციალისტმა.

**– თქვენს სამედიცინო ცენტრში პილონიდური სინუსის ლაზერული დესტრუქციის ტექნოლოგიას იყენებთ, რა იწვევს ამ დაავადებას, რამდენად რთულია მისი მკურნალობა და რა პროცედურებს მოიცავს?**

– პილონიდური სინუსი (ასევე კუდუსუნის ეპითელიალური ხვრელმილები, დერმოიდული კისტა, თმის ჩაზრუნება) მეოთხე ადგილს იკავებს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ პროქტოლოგიურ პათოლოგიათა შორის (14-20% საერთო პროქტოლოგიურ პაციენტებში) ჰემოროიდული დაავადების, პარაპროქტიტის და ანალური ნაპრალის შემდეგ. მისი გავრცელება სხვადასხვა პოპულაცში საშუალოდ 26 შემთხვევას შეადგენს 100,000 მოსახლეზე, კავკასიურ რასაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული, მამაკაცებში 3-4-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ქალებში. პილონიდური დაავადების ეტიოპათოგენეზი ბოლომდე ნათელი არ არის. მისი განვითარების რისკ-ფაქტორებია: ოჯახური ანამნეზი, ღრმა დუნდულოთაშორისი ღარი, სიმსუქნე, ახალგაზრდა ასაკი, ჰირსუიტიზმი, ჭარბი ოფლიანობა, ადგილობრივად არსებული ხანგრძლივი ზეწოლა, ხახუნი და არასაკმარისი ჰიგიენა. პილონიდური დაავადების პირველი კლინიკური მანიფესტაცია ვლინდება ძირითადად 16-40 წლის ასაკში, მიმდინარეობს მტკივნეული რეციდივებით და იწვევს პაციენტის ხანგრძლივ ამოვარდნას ჩვეული ცხოვრების რითმიდან. არსებობს პილონიდური სინუსის მკურნალობის მრავალი მინიინვაზიური, თუ ტრადიციული მეთოდი, თუმცა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტად არც ერთი მათგანი არ ითვლება. ტრადიციული ოპერაციები სპინალურ ან ზოგად ანესთეზიას მოითხოვენ, შესაბამისად ჰოსპიტალიზაციას, ასევე ამოკვეთა ხდება ფართე განაკვეთებით და შესაბამისად ხანგრძლივი რეაბილიტაცია ახასიათებთ, კერძო შემთხვებში შეხორცებითი პროცესი 4-6 თვე მიმდინარეობს. პილონიდური სინუსის ლაზერული დესტრუქცია-ობლიტერაცია ადგილობრივი ანესთეზიით ხორციელდება, დამატებითი განაკვეთები არ გვჭირდება, უკვე არსებული ხვრელებიდან შეგვყავს ლაზერის ზონდი, რითიც ვაწარმოებთ პილონიდური სინუსის და მისი არხების დესტრუქციას. ოპერაციის ხანგრძლივობა 20წუთს არ აღემატება და პაციენტი ნახევარ საათში ეწერება საავადმყოფოდან. რეაბილიტაციაც ბევრად ხანმოკლედ და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

**– დისერტაციის დაცვას როდის აპირებთ?**

– ამა წლის გაზაფხულზე ჩავაბარე სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტურანტურაში. ჩემი კვლევის ხელმძღვანელები არიან პროფესორები ლალი ახმეტელი და თემურ ივანიშვილი, კვლევას სწორედ ლაზერულ ტექნოლოგიაზე ვაწარმოებთ. ლაზერული და ტრადიციული ოპერაციების შედეგების შედარებითი ანალიზით გვინდა მოვახდინოთ პილონიდური დაავადების მართვის ოპტიმიზება. კვლევა მიმდინარეობს საკმაოდ წარმატებულად და იმედი მაქვს 2023 წლის გაზაფხულისთვის მექნება დისერტაციის დაცვა.

**– ბატონო ერეკლე, ახლა თქვენი ოჯახის შესახებ მოგვიყევით, რას საქმიანობენ, ყვარელთან როგორი კავშირები გაქვთ?**

– ყვარელი და ყვარლელები განსაკუთრებულად მიყვარს და როდესც საშუალება მეძლევა ყოველთვის ჩამოვდივარ ოჯახთან ერთად. ორი ბიჭი მყავს ავთანდილი 12 წლის, თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეა და ტარიელი 4 წლის. მინდა ჩემს ბიჭებსაც ისევე შევაყვარო დედამიწის ეს უმშვენიერესი ადგილი როგორც მე მიყვარს და მათაც თქვან სიამაყით, რომ არიან ყვარლელები. მამაჩემი ავთანდილ გრატიაშვილი როგორც ყოველთვის მშენებლობითაა დასაქმებული და ამჟამად თბილისში მრავალსართულიანი ბინების მშენებლობას ხელმძღვანელობს, ძალიან დაკავებულია და სამწუხაროდ ყვარელში ხშირად ვერ ახერხებს ჩამოსვლას.დედაჩემსაც, ინგა ხაჩიძეს, როგორც ყველა დიასახლისს საკმაოდ ბევრი საქმე აქვს, ბავშვების მოვლასა და აღზრდაში გვეხმარება.მიუხედავად იმისა რომ წარმოშობით ლაგოდეხელია ყვარელი ოჯახის წევრებზე მეტად უყვარს და უფრო ხშირად ახერხებს ყვარელში ყოფნას.

**– თქვენმა ძმამ, ავთანდილმა გერმანიაში შექმნა ოჯახი, რომელ სფეროში საქმიანობს და რამდენი ხანია არ ყოფილა საქართველოში?**

– ჩემი ძმა ავთანდილ გრატიაშვილი საუკეთესო მეოჯახე, ერთგული მეუღლე და თითით საჩვენებელი მამაა. ოჯახი გერმანიაში შექმნა, მეუღლე ანე-მარია გერმანელია, ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანი, საუკეთესო დედაა. ჰყავთ სამი შვილი: ლიანა 11 წლის, გაბრიელი 7 წლის და მარიუსი, რომელიც აგვისტოში გახდა 1წლის. სამივე ბავშმა ყვარელში აიდგა ფეხი. აღდგომაზე ავთო ყოველთვის ჩამოდის 1 კვირით, ზაფხულობით კი უფრო ხანგრძლივი დროით. სამწუხაროდ პანდემიის გამო შარშან ვერ შეძლო, წელსაც ვნერვიულობდით, არ ვიცოდით მოახერხებდა თუ არა ჩამოსვლას, ყველანი მოუთმენლად ველოდით პატარა ბიჭის ნახვას. ღვთის წყალობით წელს ჩამოვიდნენ, მარიუსმაც არ დააყოვნა და ჩამოსვლიდან 1 კვირაში, 11 თვის ასაკში, ყვარელში გაიარა პირველად. ავთანდილმა იურიდიულის მაგისტრატურა დაამთავრა გერმანიაში, გარკვეული დრო მუშაობდა საკონსულოში, თუმცა შემდეგ გადაწყვიტა პროფესია შეეცვალა და ქ. ბერლინში ახალ უნივერსიტეტში ჩააბარა მედიცინის მიმართულებით. უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა 2018 წელს და მას შემდეგ ქ. ბერლინშივე მუშაობს რეაბილიტაციის ცენტრში რეაბილიტოლოგად, მანუალურ და ფიზიოთერაპევტად. მეც მიწევს ხოლმე პერიოდულად გერმანიაში ჩასვლა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ყოველთვის ვსტუმრობ ავთოს, მიყვარს მის ოჯახში დარჩენა, რადგან ყოველთვის სრული იდილია სუფევს, მიუხედავად იმისა რომ გაბრიელი ძალიან ცელქი ბიჭია. იმედი მაქვს საბოლოოდ ჩემი ძმაც დაუბრუნდება თავის სამშობლოს და ბავშვებსაც მოუნდებათ საქართველოში ცხოვრება. 31 ივლისს გავაცილეთ ჩემი ძმა გერმანიაში, ცოლ-შვილი კი აგვისტოს ბოლოს მომავალი შეხვედრა ალბათ გერმანიაში მოგვიწევს.

ბატონ ერეკლეს ადამიანურ ღირსებებსა და პროფესიონალიზმს ასე აფასებენ ყოფილი პაციენტები ფეიბუქზე გამოქვეყნებულ კომენტარებში.

**გიორგი** – თავის საქმის მცოდნე, პაციენტთან მიდგომის უმაღლესი დონე და სასიამოვნო მოსაუბრე. ბოლომდე ყველაფერზე მოგისმენთ და გიპასუხებთ.

**ნანა ლეჟავა** – უღრმესი მადლობა ბატონ ერეკლეს, თქვენი საქმის პროფესიონალიზმისა და კეთილშობილებისათვის. თქვენ უდაოდ ოცდამეერთე საუკუნის ექიმი ბრძანდებით, ცივილური და ჰუმანური.

**გრიგოლ დვალი** – ძალიან კარგი ექიმი და პიროვნება, მადლობა ყველაფრისთვის, უფალი გფარავდეთ.

**მირზა** – უპირველეს ყოვლისა კარგი ადამიანი და შემდგომში საკუთარი საქმის პროფესიონალი.

ნამდვილად კარგი და ყურადღებიანი ექიმია. კარგად ერკვევა თავის სპეციალობაში და ამის გარდა ფსიქოლოგიცაა.

**ნატო წიწრიაშვილი** – უმაღლესი დონის პროფესიონალი და პიროვნება სასწაული, გვიყვარხარ.

**ნინო** – თავისი საქმის პროფესიონალი, პაციენტთან მიდგომის უმაღლესი დონე, სასიამოვნოდ მოსაუბრე ექიმი... ექიმებო გამოიჩინეთ გულისხმიერება პაციენტის მიმართ მასავით.

**მერაბი** – უღრმესი მადლობა ბატონ ერეკლეს და მის ყურადღებიან, პროფესიონალ გუნდს. ადამიანი, რომელიც ყურადღებით მოგისმენს, დაგაწყნარებს და გირჩევს რა და როგორ სჯობს. მეც, აქ წაკითხულმა ერთმა კომენტარმა გადამაწყვეტინა მასთან მისვლა, მადლიერი ვარ მისი. გირჩევთ მიმართოთ ბატონ ერეკლეს, ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას.

**ირმა** – ძალიან კარგი ექიმი, ყველანაირი გაგებით. მადლობა ბატონო ერეკლე, გაიხარეთ თქვენი ადამიანობით, ფულზე გაგიჟებული წინამორბედის შემდეგ, გადაფარეთ ნეგატივი კლინიკისადმი. საოცრად ეთიკური და გულისხმიერი ბრძანდებით.

კომენტარების წაკითხვის შემდგომ წარმოუდგენელია უდიდესი პატივისცემით არ განიმსჭვალო ბატონი ერეკლეს პიროვნებიადმი, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში სახელოვანი, მისაბაძი ექიმია და ჭეშმარიტად უნდა ვიამაყოთ ყვარლელებმა.

ბატონო ერეკლე, წინსვლასა და წარმატებებს გისურვებ მეტად საპატიო და რთულ სფეროში, გაიხარე შენს ლამაზ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად, უფალი გფარავდეთ.

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ცაცხვის ჩაი ერთერთი ყველაზე ჯანსაღი სასმელია



ექიმები მიიჩნევენ, რომ ცაცხვის ჩაი ერთ – ერთი ყველაზე ჯანსაღი სასმელია, რადგან, ის შეიცავს სხვადასხვა ვიტამინებსა და მინერალებს.

– რაში მდგომარეობს მისი ძალა? – ცაცხვის ჩაის დასამზადებლად საჭიროა გამოიყენოთ ხის ყვავილები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ფოთლები. ყვავილებში არის უზარმაზარი ანტიოქსიდანტი და აქტიური ინგრედიენტები, მათ შორის ფიტოქიმიკატები, ფლავონოიდები, კვერცეტინი და კუმარინი. მათ ასევე აქვთ მრავალი აუცილებელი ვიტამინი და მინერალი, რათა, ადამიანმა შეინარჩუნოს სხეული კარგ ფორმაში.

– უთხარი არა სტრესს! – ცაცხვის ჩაის დალევა ათავისუფლებს ეთერზეთებს, რომლებიც ამცირებენ სტრესს და შფოთვას. ბუნებრივი დამამშვიდებელი თვისებები ამცირებს ორგანიზმში სტრესის ჰორმონების რაოდენობას. როგორც მრავალრიცხოვანმა კვლევებმა აჩვენა, ისინი ამცირებენ დატვირთვას გულზე და დეპრესიის დაძლევაში ეხმარებიან ადამიანს.

იმუნიტეტის დაცვა – ცაცხვის ჩაიში შემავალი ნაერთები ძლიერ ანთების საწინააღმდეგო ეფექტს ახდენს მთელ სხეულზე. ექიმები გვირჩევენ მის გამოყენებას კუნთების ტკივილისა და სახსრების დაავადებების დროს, ასევე, სისხლძარღვების და სასუნთქი გზების ანთების დროს.

კვლევებმა აჩვენა, რომ ცაცხვის ჩაის ანტიოქსიდანტების იმუნოსტიმულატორული თვისებების გარდა, ამ სასმელის დიაფორეზული ბუნება ამცირებს ცხელებას და ხელს უწყობს სწრაფ გამოჯანმრთელებას. ცაცხვის ყვავილები შეიცავს ანთების საწინააღმდეგო ნაერთებს, რომლებიც ამშვიდებს სასუნთქ გზებს, ხელს უწყობენ ლორწოს და ნახველის გამოყოფას და აგარიდებენ გაციებისა და გრიპის ზოგიერთ ყველაზე გავრცელებულ სიმპტომს.

– საუკეთესო წამალია კუჭ – ნაწლავის ტრაქტისთვის – მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცაცხვის ჩაი შესანიშნავი ანტისპაზმური საშუალებაა, ის ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, ამცირებს ანთებას ნაწლავებში. ეს ხელს უწყობს გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის, წყლულოვანი კოლიტის, მეტეორიზმის, წყლულების სიმპტომების შემსუბუქებას.

– გული და სისხლძარღვები მოწესრიგებული იქნება – ცაცხვის ჩაიში შემავალი ანტიოქსიდანტები ამცირებენ არტერიულ წნევას და ხელს უშლიან სისხლის შედედებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ათეროსკლეროზის ან სისხლის შედედების რისკს. ცაცხვის ჩაი არის კარგი პრევენცია გულის შეტევის, ინსულტის ან გულის კორონარული დაავადების წინააღმდეგ.

# რა მოგვივა თუ მზესუმზირას ყოველდღე შევჭამთ – ეს ბევრმა არ იცის!

მზესუმზირის მოხმარების შესახებ საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი აზრი არსებობს. ზოგი თვლის, რომ ე.წ. „სემიჩკის„კნატუნი არც თუ ისე ესთეტიკურია, უფრო მეტიც, უზრდელობაა. ზოგი კი იმდენად არის შეყვარებული ამ „საქმიანობაზე„, რომ არავითარ უარყოფით აზრს არ ეპუება და ჯიუტად განაგრძობს საყვარელი პროდუქტის საზოგადოებაში მირთმევას. არიან ისეთებიც, რომლებიც ითვალისიწნებენ საზოგადოებრივ აზრს და საყვარელ მზესუმზირას სახლში, საღამოობით ტელევიზორის წინ აკნატუნებენ. მაგრამ შეიძლება თუ არა აღნიშნული პროდუქტის ყოველდღიურად მირთმევა? სწორედ ამის შესახებ ვისაუბრებთ ქვემოთ.

### მზესუმზირის თესლის სასარგებლო თვისებები

მოცემულ პროდუქტს ძალიან მაღალი ენერგეტიკული ღირებულება აქვს. 100 გრამი მზესუმზირის თესლი 602 კკალ-ს შეიცავს. ეს ნამდვილი ენერგეტიკული ბომბია!

მზესუმზირის კნატუნი ნერვულ სისტემას აწყნარებს. ამ მხრივ ეს პროცესი არაფრით ჩამოუვარდება კრიალოსნის მარცვლას.

მზესუმზირის თესლი კუჭის მჟავა-ტუტოვანი ბალანსის ნორმალიზებას ახდენს. ამიტომ, ბევრი ექიმი ურჩევს მას პაციენტებს, რომლებსაც გულძმარვა აწუხებთ.

ეს პროდუქტი დადებითად მოქმედებს მამაკაცის პოტენციაზე და ქალის რეპროდუქციულ სისტემაზე.

მზესუმზირა შეიცავს დიდი რაოდენობით მაგნიუმს, რაც აუცილებელია გულის კუნთების ნორმალური მუშაობისთვის.

მზესუმზირის თესლი შესანიშნავი საშუალებაა ათესროსკლეროზისა და მიოკარდიუმის ინფარქტის პროფილაქტიკისთვის.

მზესუმზირა ძალიან კალორიული პროდუქტია, ამიტომ უმჯობესია არ შეიძინოთ იგი გარჩეული (ასე გაცილებით მეტს შეჭამთ!) სახით. ამას გარდა, გაფცქვნილ მდგომარეობაში მასში სწრაფად ხდება ნაჯერი ცხიმების დაჟანგვა. ექიმები რეკომენდაციას გვიწევენ, ყოველდღიურად მივირთვათ 50-100 გრამამდე აღნიშნული პროდუქტი. ყველაზე სასარგებლოდ ითვლება უმი მზესუმზირის თესლი.

როგორც ყველა პროდუქტს, მზესუმზირასაც აქვს უკუჩვენება: მისი მოხმარება არ შეიძლება ადამიანებისთვის, რომლებსაც კუჭის წყლული, პოდაგრა და ენტეროკოლიტი აწუხებთ.

# რატომ ხდებიან ავად დასასვენებლად წაყვანილი ბავშვები – პრობლემა, რომელიც ბევრ მშობელს აღელვებს

ალბათ, გეცნობათ სიტუაცია – ბავშვები ზაფხულში კურორტზე გაგყავთ, იმედიანად ხართ, რომ ჯანსაღ და სუფთა ჰაერზე არიან და სწორედ ამ დროს ხდებიან ავად. უწევთ სიცხე და დასვენების ტკბილი დღეები ექიმებში და კლინიკებში სირბილს ხმარდება. იცოდეთ, რომ მხოლოდ თქვენ არ გემართებათ ასე, ეს საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა და აგიხსნით, რატომ ხდება ასე.

ზაფხულობით ბავშვის ორგანიზმს ბევრ შეუჩვეველ სიახლეებთან უწევს შეგუება – მგზავრობა, ტრანსპორტის შეცვლა, ყოველდღიური რეჟიმისა და რუტინის შეცვლა, გარემოს გამოცვლა – ეს ყველაფერი პატარა ორგანიზმისთვის ერთგვარი სტრესია, რაც უთუოდ აისახება მის დამცველობით სისტემაზე. ამიტომაა, რომ უმარტივეს ინფექციასაც (თუმცა ჩვენს კურორტებზე სერიოზული ინფექციების რისკიც მაღალია) კი შეუძლია ავადობა გამოიწვიოს.

როცა საზღვაო კურორტზე ჩადიხართ, ბავშვები რატომღაც მაშინვე ცივდებიან. ამის მიზეზი აი, რა არის: ახალ გარემოს რომ შეეჩვიოს (ტემპერატურას, უცნობ მიკრობებსა და ვირუსებს), ბავშვის ორგანიზმს 7-10 დღე სჭირდება.

ამაზე ადრე ორგანიზმი შეცვლილ გარემოზე მორგებას ვერ ასწრებს და დამცველობით სისტემას უჭირს სრულყოფილად იმოქმედოს ინფექციებზე, რომლებიც ხალხმრავალ კურორტებზე ძალიან ბევრია. ამიტომაც ექიმები მშობლებს ურჩევენ, კურორტზე ჩასვლის პირველ დღეებში ბავშვი შედარებით პასიურ რეჟიმში ამყოფონ, ხალხმრავალი ადგილები, ლაშქრობები, დატვირთული დღეები რამდენიმე დღით გადადონ.

ხოლო როცა შინ დაბრუნდებით, ძველ გარემოსთან შესაგუებლადაც ბავშვს დაახლოებით 7 დღე დასჭირდება.

გაითვალისწინეთ, ბავშვის გაციება ძლიერ სიცხეში უფრო ადვილია, ვიდრე სიცივეში.

მაგალითად, ცხელ ქვიშაში თამაშის შემდეგ გრილ წყალში შესვლამ შეიძლება გაცივება გამოიწვიოს. სურდო ადვილად გადადის ანთებით პროცესში. ამიტომ, თუ შეატყვეთ, რომ ბავშვს სურდოს ნიშნები აქვს, 1-2 დღე წყალში ყოფნის სიხშირე შეამცირეთ.

თუ თავს ხშირად ისველებს და წყალში ყურყუმელობა მოსწონს, ყურიდან ინფექციის შეჭრის რისკიც იზრდება, რამაც შეიძლება ასევე ანთებითი პროცესი გამოიწვიოს. ამიტომ სურდოიან ბავშვს წყალში თავის ჩაყოფის ნებას ნუ მისცემთ. სხვათა შორის, გაციებული ბავშვის ფრენაც არასასურველია – ფრენის დროს წნევის ცვალებადობა ყურების ტკივილს იწვევს და თუ ამ დროს ცხვირი გაჭედილია, ტკივილი შეიძლება საკმაოდ ძლიერი იყოს. თუ ამ დროს ფრენა გარდაუვალია, თან იქონიეთ ცხვირის გამხსნელი და ყურის ტკივილის წვეთები.





# „ბავშვი ძალიან იშვიათადაა ვირუსის პირველწყარო... პატარები, ძირითადად, ოჯახის წევრებისგან ავადდებიან“ – თემურ მიქელაძე ახალი შტამის მიმდინარეობაზე ბავშვებში

ბავშვი იშვიათად არის კორონავირუსით ინფიცირების პირველწყარო. ბავშვები ძირითადად, ოჯახის წევრებისგან ავადდებიან – ამის შესახებ ცნობილმა პედიატრმა თემურ მიქელაძემ გადაცემაში „პირადი ექიმი“ ისაუბრა.

„კორონავირუსზე ეჭვი მიგვაქვს მაშინ, თუ ბავშვის ძიძა, მშობელი, ან ოჯახის რომელიმე წევრი ინფიცირებულია. ვირუსის პირველწყარო ძალიან იშვითადაა ბავშვი, თუმცა დელტა შტამის შემთხვევაში რამდენიმე შემთხვევა გვქონდა, როცა ბავშვი იყო პირველწყარო. ძირითადად, ოაჯხის წევრებისგან ავადდებიან“, – განაცხადა ექიმმა. მისივე თქმით, რაოდენობრივად კორონავირუსით ბავშვთა მომავრთვიანობა უფრო მაღალი იყო ნოემბერ-დეკემბერში, თუმცა მძიმე შემთხვევების და ჰოსპიტალიზაციის პროცენტული წილი ახლა გაცილებით მაღალია.

„წინა პანდემიის დროს პრაქტიკულად არ გვქონია მძიმე შემთხვევები, ფატალური შემთხვევა კი არ ყოფილა, გარდა ერთისა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წინა შტამების გავრცელებისას დაავადების მიმდინარეობა მძიმე არ იყო, რამდენიმე კვირის მერე გვქონდა მულტისისტემური, პოლიორგანული ანთების სინდრომი. აგვისტოში ალბათ, ალფა შტამი მთლიანად ჩანაცვლდება დელტა შტამით და დაიწყება ფართომასშტაბიანი გავრცელება. ერთადერთი გზა, რითაც ამ პროცესის შეფერხება შეგვიძლია, არის უფროსი ადამიანების მასობრივი ვაქცინაცია, რათა ჩვენი შვილები და შვილიშვილები დავიცვათ გართულებებისგან. რა ვაქცინაც არის ხელმისაწვდომი, ბავშვების ოჯახის წევრები იმით უნდა აიცრან, რათა აგვისტოში და სექტემბერში ფართომასშტაბიანი გავრცელება ავიცილოთ თავიდან“ – განაცხადა თემურ მიქელაძემ.

რაც შეეხება სიმპტომებს, მიქელაძის თქმით, მკვეთრი სხვაობა შტამებს შორის არ არის და ძირითადად, მაინც რესპირატორული ვირუსისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოიხატება.

ვფიქრობ, 30%-ში უკვე ახალი, დელტა შტამია გავრცელებული. კლინიკური სურათი ოდნავ გასხვავებულია, თუმცა მკვეთრი სხვაობა არ არის, განაკუთრებით ადრეული ასაკის ბავშვებში თითქმის იგივე სიმპტომებია, ძირითადად, ნაწლავთა გახშირებული მოქმედებით. დელტა ვარიანტში უფრო გახანგრძლივებული ცხელებაა გამოხატული, წინა შტამებს თუ დაბალი, 37-38 გრადუსი ტემპერატურა ახასიათებდა და გრძელდებოდა 2-3 დღის განმავლობაში. ახლა 4-5 დღის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს. თუმცა ეს ხანგრძლივობა ზაფხულის ცხელი დღეებითაც აიხსნება. გარემოს მაღალი ტემპერატურის დროს ცხელების მართვა ბავშვებში გაძნელებულია, თუ არ იღებენ სწორად და სწორი რაოდენობით სითხეს. თუ ბავშვი ნორმალურად იღებს სითხეს, მისი ცხელების მართვაც უფრო სწრაფად მოხდება. 9-დან 19 წლამდე ასაკში კორონავირუსი ისეთივე სიმპტომებით მიმდინარეობს, როგორც უფროსებში – თავის ტკივილით, სახსრების ტკივილით, კუნთების ტკივილით. შეიძლება დაკარგოს ყნოსვა და გემო. 9 წლამდე ასაკში ყნოსვის დაკარგვა მხოლოდ 1%-ში გვხვდება“ – განაცხადა თემურ მიქელაძემ.

# ნიადაგის ანეულად დამუშავების სისტემა

*ანეულს უწოდებენ განსაზღვრული დროის განმავლობაში დაუთესავად დატოვებულ ნაკვეთს, რომელიც დასვენების პერიოდში სისტემატიურად მუშავდება, რათა გაუმჯობესდეს მისი ნაყოფიერება, უკეთ მომარაგდეს წყლითა და საკვები ნივთიერებით.*

დამუშავების სისტემა განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რომელი წინამორბედის შემდეგ უნდა დაითესოს ესა თუ ის საშემოდგომო კულტურა.

საშემოდგომო თესვას აწარმოებენ ძირითადად ანეულზე, კორდზე, სათოხნი კულტურების შემდეგ და ნაწვერალზე. ამასთან ანეულის თესლბრუნვაში ჩართვას სარეველა მცენარეთა რაოდენობის შემცირებასა, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებასა და კულტურული მცენარეთა მოსავლიანობის გაზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ანეულები ორ გჯუფად იყოფა: სუფთა და მოთესილი. სუფთა ანეული შემოდგომისაა და დაუთესავია გაზაფხულზაფხულის პერიოდში (შემოდგომოდან-შემოდგომამდე) და მასზე ითესება საშემოდგომო კულტურა მხოლოდ მომდევნო წელს. მაგრამ საგაზაფხულო კულტურასაც თესავენ იქ სადაც საშემოდგომო თესავას არ მიმართავენ.

ადრე ასაღები კულტურები მოთესილ ანეულებზე გაზაფხულზე ითესება, რომლებიც ხელს არ უშლიან მინდვრის გაანეულების ამოცანების შესრულებას.

ნიადაგის ანეულად დამუშავება

როდესაც ნაკვეთი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში თავისუფალია მოსაყვანი კულტურისაგან, ხოლო ნიადაგი არის დამუშავებული, ფხვიერი და სარეველებისაგან სუფთა – სუფთა ანეულს უწოდებენ. ასეთ ნაკვეთზე წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება არ ხდება.

სუფთა ანეულს ყოფენ შემდეგ სახეებად: ა) საშემოდგომო ანუ შავი ანეული, ბ) საგაზაფხულო ანუ ადრეული ანეული, გ) საგვიანო ანეული.

ნაწვერლის წინასწარი აჩეჩვის შემდეგ, საშემოდგომო ანეულისათვის, შემოდგომაზე წარმოებს ძირითადი ხვნა, ხოლო მომავალი წლის შემოდგომამდე მინდორი „გადაშავებულია“, ამიტომაც მიიღო შავი ანეულის სახელწოდება.

საადრეო ანეულის ეფექტურობა მკვეთრად იზრდება იმ შემთხვევაში თუ შემოდგომაზე ჩავატარებთ აჩეჩვას, ხოლო გაზაფხულზე დროულად მოვხნავთ. ხვნა წარმოებს წინმხვნელიანი გუთნით, ერთდროულად ატარებენ ფარცხვასაც.

სარეველების გამოჩენისთანავე ატარებენ აოშვას დისკოებიანი საოშით, ივნისის დასაწყისში ატარებენ ღრმა ხვნას გუთნით, ე.ი. ბელტის გადაუბრუნებლად 40-50 სმ –ის სიღრმეზე, ფარცხვით, ზაფხულის განმავლობაში სარეველების განვითარების მიხედვით.

სარეველების გამოჩენის შემთხვევაში თესვის წინ ნიადაგი უნდა დამუშავდეს თათებიანი „ზიგზაგებიანი“ ფარცხით და ითესება საგაზაფხულო კულტურა შემდეგ, 3 – 4 წლის განმავლობაში ნაკვეთი არ იხვნება, საგაზაფხულო კულტურის მოსავლის აღების შემდეგ 7-8 სმ სიღრმეზე ტარდება 1-2 დადისკოება, გაზაფხულზე ნაკვეთი დაიფარცხება და დაითესება.

ბელტის გადაუბრუნებლად მოხვნა ყველგან გამართლებული არ არის, ის დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე. ასეთი წესით ნიადაგის დამუშავება მიღებულია მხოლოდ სარეველებისგან სუფთა სტრუქტურიან ნიადაგებზე. ბელტის გადაუბრუნებლად მოხვნა დასარევლიანების გადიდებას იწვევს.

საადრეო ანეულის მოხვნის ვადები ადგილობრივ პირობებისდა მიხედვით ცვალებადობს. საუკეთესოდ ითვლება ხვნა აპრილ–მაისში, ან არაუგვიანეს ივნისის პირველი დეკადისა.

ადრეულ ანეულებზე ორგანული სასუქი შეაქვთ ძირითადი ხვნის წინ, ან მომდევნო გადახვნის წინ. ხნულის შემდგომი დამუშავება ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში, იმავე წესით და იმავე ვადებში ტარდება, როგორც შავი ანეულის დამუშავებისას.

საგვიანო ანეულს წინათ ფართოდ იყენებდნენ ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის პირობებში. მოხვნამდე მინდორი აბალახებული იყო და საძოვრად გამოიყენებოდა, ძოვების დროს მინდორი იტკეპნებოდა, უარესდებოდა ნიადაგის ფიზიკური თვისებები, ხვნას გვიან აწარმოებდნენ, ხნული უხარისხო იყო და საშემოდგომო თესვისათვის ვერ ასწრებდა მომწიფებას. ამიტომ ასეთი ანეულები აგროღონისძიებებიდან ამოღებულ იქნა.

### კულისებიანი ანეული

სუფთა ანეულის სახესხვაობას კულისებიანი ანეული წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ შემოდგომაზე მოხნულ მინდორზე გაზაფხულ-ზაფხულში კულისებად, ზოლ-ზოლად ითესება მაღალღეროიანი მცენარეები, თოვლის დაგროვების, ყინვისა და ქარისაგან საშემოდგომო ნათესის დაცვის მიზნით.

კულისებიანი ანეულის ძირითადი დანიშნულებაა მაღალღეროიანი მცენარეების თესვის საშუალებით მინდვრებზე თოვლის შეკავება და ნიადაგში ტენის მარაგის გადიდება.

ამიტომ კულისებიან ანეულებს იყენებენ მშრალ რაიონებში, სადაც მცირეთოვლიანი მკაცრი და მასთან ქარიანი ზამთარი იცის, ტენიანობის გადიდების გარდა ასეთი ანეული თოვლის საბურველის გადიდების გამო ხელს უწყობს ტემპერატურული რეჟიმის გაუმჯობესებას და საშემოდგომო კულტურების უკეთ გამოზამთრებას.

საკულისო მცენარეებად მიჩნეულია სიმინდი, მზესუმზირა, სორგო და სხვა მაღალღეროიან მცენარეები, ითესება მწკრივებად, ზამთარში გაბატონებული ქარების საწინააღმდეგო მიმართულებით და მწკრივების ერთიმეორისაგან 10-20 მეტრის დაშორებით.

ამ მცენარეთა მწკრივებს კულისები ეწოდება, ხოლო მანძილს მათშორის კულისთაშორისი მანძილი. კულისებში მცენარეთა შორის მწკრივებში მანძილი ისეთივე უნდა იყოს, რაც საერთოდ მიღებულია. კულისები შეიძლება იყოს ერთი, ორი, ან სამმწკრივიანი. ერთი და ორმწკრივიანი კულისები უფრო უკეთესია აგროტექნიკური თვალსაზრისით.

სამმწკრივიანი კულისები ვერ ქმნიან ნაკვეთზე თოვლის თანაბარ საფარს და მიუღებელია აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების სიძნელის გამოც, რადგან კულისებში მცენარეთა მოვლა ზედმეტ დროსა და შრომას მოითხოვს.

საკულისე კულტურების მოსავლის აღების შემდეგ ღეროებს არ ჭრიან, არამედ ისე ტოვებენ თოვლის შესაკავებლად, გაზაფხულზე კი ქარების პერიოდის გავლის შემდეგ ჭრიან და გამოაქვთ ნაკვეთიდან.

### მოთესილი ანეულები

სუფთა ანეულების აგროტექნიკური მნიშვნელობა ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საქმეში, განსაკუთრებით სარეველებთან ბრძოლაში, მეტად დიდია. მაგრამ ეკონომიურად იგი მისაღებია მხოლოდ მშრალ რაიონებში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა მცირეა და მაღალი მოსავლის მიღებას ვერ უზრუნველყოფს.

სუფთა ანეულზე ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი მოსავლის მიღება შეიძლება. ნიადაგის ერთი წლით-“მოცდენა„ყველა მეურნეობისათვის მიზანშეწონილი არ არის, რადგან თესვისათვის გამოსაყენებელი ფართობი მცირდება.

თავიანთ აგროტექნიკურ დანიშნულებას მოთესილი ანეულები იმ შემთხვევაში გაამართლებენ, თუ სწორად იქნება შერჩეული მოსათესი კულტურა, გავანოყიერებთ მინდორს და ჩავატარებთ მაღალ აგროტექნიკას. ანეულზე დათესილი კულტურა მოკლე ვეგეტაციის უნდა იყოს, რათა მოსავლის აღების შემდეგ დროულად და ხარისხიანად დამუშავდეს ნიადაგი საშემოდგომო კულტურის თესვისათვის.

გარდა ამისა მოსათესი კულტურა ნიადაგს არ უნდა ფიტავდეს წყლითა და საკვებით, დიდ გავლენას უნდა ახდენდეს თავისი ბიოლოგიური თავისებურებებით და აგროტექნიკით ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებაზე.

ასეთებია პირველრიგში ერთწლოვანი პარკოსანი კულტურები (ცერცველა, ცულისპირა, ბარდა, ოსპი, ხანდური და სხვა), სათოხნი კულტურები (კარტოფილი, სასილოსე სიმინდი, საკვები ბაღჩეულები, სათესლე ძირხვენების მეორე წლის ნარგავები და სხვა) კარგია აგრეთვე სამარცვლე პარკოსნები (ლობიო, მარდა, სოია და სხვა.).

ბუნებრივი კლიმატური პირობებისა და დასარევლიანების ხასიათის მიხედვით სხვადასხვა სახის მოთესილ ანეულებს იყენებენ: არასათოხნი კულტურებით მოთესილი, სათოხნი კულტურებით მოთესილი და სიდერალური ანეულები.

### სიდერალური ანეული

სიდერალური ანეული საკმაოდ გავრცელებული სახეა. სიდერალური ანეულის მინდორზე დათესილი პარკოსანი კულტურების (ხანჭკოლა, ბარდა, ცულისპირა, სოია, ცერცველა, ჩიტიფეხა, ძიძო და სხვა) სიდერატები, როგორც წვანე სასუქები ბუნებრივ, ანუ სამეურნეო სასუქთა შორის დიდი ყურადღების ღირსია.

სიდერატების გამოყენებას განსაკუთრებული ყურადღება ეძლევა აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემაში, როგორც მაღალეფექტურს, იაფსა და ადვილად გასატარებელ ღონისძიებას. სასოფლო სამეურნეო ლიტერატურაში სიდერატების ცნების ქვეშ იგულისხმება ისეთი აგრონომიული ღონისძიებახერხი, რომლის საშუალებით ვაუმჯობესებთ მცენარეთა კვების რეჟიმს ნიადაგში ჩახვნის გზით.

სიდერატები – მწვანე სასუქად გამოყენების მხრივ შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: სრული მწვანე სასუქი, როცა ნიადაგში ჩაიხვნება მწვანე მასის მიწისზედა ნაწილი ფესვთა სისტემასთან ერთად და მეორე არასრული მწვანე სასუქი–როდესაც მცენარის მიწისზედა ნაწილის სხვა დანიშნულებისამებრ გამოვიყენებთ (თივად, სილოსად სხვა ადგილზე გადასატანად და ჩასახნავად) და მარტო ფესვთა სისტემას ჩავხნავთ ნიადაგში.

ანეულზე მოთესილი სიდერატები ხელს უწყობენ, აგრეთვე საკვების ძნელადხსნადი შენაერთების გადასვლას მცენარისათვის უფრო მისაწვდომ ფორმაში, სიდერატები ნიადაგიდან მინერალური საკვების გამორეცხვას ამცირებს.

სიდერატებით მოთესილი ანეულები ხელს უწყობენ მინდვრების სარეველა მცენარებისგან გაწმენდას, რაც გამოიხატება იმაში, რომ კარგად განვითარებული სიდერატებით ნიადაგის ზედაპირი მთლიანად იფარება (იჩრდილება) მწვანე მასით და იწვევს სარეველების ჩახშობას.

სიდერატებად იყენებენ, როგორც პარკოსან, ისე მარცვლოვან კულტურებს და ხშირად მათ ნარევსაც, მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა მაინც პარკოსან მცენარეებს ეკუთვნის.

პარკოსნებს უნარი შესწევთ კოჟრის ბაქტერიების საშუალებით გამოიყენონ ატმოსფეროს თავისუფალი აზოტი და ამგვარად გაამდიდრონ ნიადაგი ამ მნიშვნელოვანი და ძირითადი საკვები ელემენტით.

მრავალი ავტორის გამოკვლევათა მიხედვით პარკოსანი კულტურები აზოტის 65-75% ითვისებენ ჰაერიდან, ხოლო დანარჩენ 25-35% ნიადაგიდან. ამგვარად პარკოსნებს მწვანე სასუქად გამოყენების საქმეში დიდი უპირატესობა აქვთ მარცვლოვან მცენარეებთან შედარებით.

როგორც ავღნიშნეთ, სიდერატების ჩახვნით, ნიადაგს ვამდიდრებთ ორგანული ნივთიერებით და აზოტით, რის საფუძველზეც უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური პროცესები.

ამჟამად, სიდერატები პერსპექტიულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემაში შედის და წარმოებაში ფართოდ უნდა დაინერგოს, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების გამაუმჯობესებელი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა მაღალი მოსავლის მიღებას.

**ზაირა ტყებუჩავა;**
**ცოტნე სამადაშვილი;**
**გივი ცაგურიშვილი;**
**ალექსანდრე გათენაძე.**
**სოფლის მეურნეობის საფუძვლები**

# შეთქმულების თეორიები და მითები, მნიშვნელოვან და მასშტაბურ მოვლენებს მუდმივად თან სდევს

– შეთქმულების თეორიები, რომლის თანახმადაც, კოვიდის ვაქცინებთან ერთად მომაკვდინებელი სათვალთვალო მიკროჩიპებითაც აგვცრიან, მეორე წელია სოციალური ქსელების განხილვის თემაა.

შეთქმულების თეორიები და მითები ყველა დროში, ყველა მნიშვნელოვან და მასშტაბურ მოვლენას მუდმივად თან სდევს. რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც კორონავირუსი წარმოადგენს. ვირუსის პარალელურად მთელ მსოფლიოში უამრავი დეზინფორმაცია და ჭორი ვრცელდება, რომელიც ვირუსის წარმომავლობას, მკურნალობის გზებსა და მის გამომწვევ მიზეზებს უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის გავრცელებიდან დიდი დრო არ გასულა, მის გარშემო უამრავი აბსურდული და რაციონალურ აზრს მოკლებული თეორია უკვე არსებობს.

ფსიქოლოგები დიდი ხანია იკვლევენ შეთქმულების თეორიებს და ამ თეორიებით დაინტერესების მიზეზებს. მათი დაკვირვებით, კონსპიროლოგები აქტიურდებიან კრიზისული ვითარების, მაგალითად, ომის ან პანდემიის დროს.

ადამიანი მიდრეკილია ეძებოს იმის ახსნა, რაც არ ესმის. კრიზისული ვითარება კი მისთვის ხშირად დამატებითი სტიმული ხდება. – (ვარაუდობენ ამსტერდამისა და კენტის უნივერსიტეტის პროფესორებმა 2017 წლის კვლევაში).

2018 წელს ჩატარებულმა კვლევამ“აქ რაღაცა ხდება„დაადასტურა კიდევ ერთი ჰიპოთეზა – წინასწარგანწყობები ასუსტებს ადამიანის რაციონალური აზროვნებისა და კრიტიკული კითხვების დასმის უნარს, ანუ მარტივად რომ ითქვას, ჩვენ ვიჯერებთ იმას, რაც გვინდა, რომ დავიჯეროთ.

საქართველოს მოსახლეობის ნაწილისთვის“ჩიპი„სალანძღავ სიტყვად მაშინ გადაიქცა, როდესაც დაიწყო ID ბარათების გაცემა. სანამ ვაქცინებსა და ჩიპებზე განგაშს ატეხდნენ, ეკლესიის მესვეურები ეწინააღმდეგებოდნენ ID ბარათებში ჩიპების არსებობასაც. სასულიერო პირები მოუწოდებდნენ მრევლს, არ აეღოთ ისინი. დასავლეთი ექსპერიმენტებს ატარებს ადამიანებზე და ამ ბარათებით ჩვენი გაკონტროლება სურს – ეს იყო მათი მთავარი გზავნილი.

„მივიღეთ გადაწყვეტილება, მივმართოთ მთავრობას, შეიქმნას ალტერნატიული საბუთები, რომელშიც არ იქნება ჩიპი და რიცხვი 666“, – აცხადებდა მეუფე იობი 2012 წლის დასაწყისში.

კორონავირუსის გავრცელებასთან ერთად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) განაცხადა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობას ახლა უკვე „ინფოდემიაც“ ემუქრება. WHO-ს წარმომადგენლების აზრით, აუცილებელია, ამ საფრთხეს სახელმწიფოებმა ორგანიზებული პასუხი გასცენ, რაც გულისხმობს ხელისუფლებების თანამშრომლობას მედიასა და სხვა აქტორებთან.

ყველაზე აქტიურად გავრცელდა მითი გეიტსის და კორონავირუსის კავშირზე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გეიტსებმა COVID-19-ის პოტენციური ვაქცინების კვლევები დააფინანსეს, ანტივაქსერებმა მასზე ჭორების გავრცელება დაიწყეს.

გეიტსისა და კორონავირუსის კავშირზე თავდაპირველად ოუთუბე-ზე 17 მარტს გამოქვეყნებული ვიდეოში საუბრობენ. ვიდეოს ავტორის მიხედვით, ბილ გეიტსის რეალურ მიზანს ვაქცინის მეშვეობით ადამიანების სხეულში მიკროჩიპების მოთავსება წარმოადგენს, რათა მათი კონტროლი შეძლონ. იმავე დღეს კი კიდევ ერთი სტატია გამოქვეყნდა, სადაც ისევ ბილ გეიტს განიხილავდნენ, ოღონდ ამჯერად გეიტსის მიზანს დედამიწაზე მოსახლეობის შემცირება და დარჩენილი ადამიანების კონტროლი წარმოადგენდა. თეორიები სხვადასხვა სოცქსელებში გავრცელდა და ანტივაქსერების ყურადღებაც მალევე მიიპყრო.

კიდევ ერთი აბსურდული თეორიის მიხედვით კი ანტივაქსერებს სჯერათ, რომ ვირუსი ხელოვნურადაა გავრცელებული და რეალურ მიზანს მათთვის ვაქცინაზე უარის თქმის არჩევანის წართმევა წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, ვაქცინის შესახებ გავრცელებული მსგავსი ჭორები სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან სხვადასხვა კვლევით მრავალგზის დადასტურებული ფაქტია, რომ ვაქცინაცია უსაფრთხოა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის იგი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. რაც შეეხება ბილ გეიტსა და მასთან დაკავშირებულ თეორიებს, ამაზე კომენტარი ზედმეტია.

კიდევ ერთი აბსურდული თეორია, რომელიც კორონავირუსის გარშემო შეიქმნა 5 ქსელს უკავშირდება – ადამიანებს სჯერათ, რომ 5 ქსელი ვირუსის გამომწვევი მიზეზია. შეთქმულების თეორიები 5-ს შესახებ აქამდეც მრავლად არსებობდა, თუმცა მისი უშუალოდ კორონავირუსის გამომწვევ მიზეზად აღქმა, შესაძლოა, ბელგიელ ექიმს დავუკავშიროთ, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ 5 ადამიანის ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

ინტერვიუს შემდეგ კი თეორია ასევე სოციალურ ქსელებში მალევე გავრცელდა (სადაც ხალხი 5-ს უკვე აქტიურად განიხილავდა), რამაც გარკვეული შედეგები გამოიწვია. მაგალითად, 5 ქსელის შესახებ გავრცელებული თეორიის მიმდევრებმა დიდ ბრიტანეთში სატელეფონო ანძების განადგურება დაიწყეს, რამაც ქვეყნის მასშტაბით მასობრივი ხასიათი მალევე მიიღო. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიმდევრებმა შემთხვევით არა 5-ის, არამედ 3-სა და 4-ის ანძები დააზიანეს.

5-ის შესახებ შეთქმულების თეორიის გავრცელებას შოუბიზნესის სხვადასხვა წამომადგენელმაც შეუწყო ხელი, რომლებიც ამ თეორიებთან დაკავშირებულ სტატიებს ავრცელებდნენ ინტერნეტსივრცეში. მსახიობმა ვუდი ჰარელსომა თეორიასთან დაკავშირებული სტატია საკუთარ ინსტაგრამზე გააზიარა, ასევე მომღერალმა M.I.A-მ ტვიტერზე განაცხადა, რომ 5 უშუალოდ კორონავირუსს კი არ იწვევს, არამედ რადიოტალღების გამოსხივება ადამიანის იმუნიტეტს აქვეითებს, რაც, შესაბამისად, ვირუსთან ბრძოლას ართულებს.

ასევე ხშირად შეხვდებით სხვადასხვა გამოხმაურებას, რომელთა მიხედვით 5 ქსელის ანძების განთავსებისა და კორონავირუსის გავრცელების ქრონოლოგია იდენტურია და ვირუსით ინფიცირებულთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობაც სწორედ იმ ქვეყნებში ფიქსირდება, სადაც აღნიშნული ანძებია განთავსებული. თუმცა, მოსაზრება რეალობას არ შეესაბამება – ინფიცირებულთა მაღალი რიცხვი ისეთ ქვეყნებშიცაა, სადაც 5 ქსელის ანძები საერთოდ არ გვხვდება.

რა თქმა უნდა, 5 ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და მას კორონავირუსთან არანაირი კავშირი არ აქვს.

საზოგადოებაში ასევე დიდი ყურადღება გამოიწვია ვირუსის წარმომავლობის საკითხმა. ამ თემასთან დაკავშირებით ინტერნეტში უამრავ თეორიას შეხვდებით, ზოგიერთი მათგანის თანახმად კი, ვირუსი ბრიტანელების შექმნილიც კი არის. COVID-19-ის წარმომავლობის შესახებ ერთი-ერთი ყველაზე პოპულარული თეორიის მიხედვით, ვირუსი ლაბორატორიაში გამიზნულად შეიქმნა და შემდეგ შემთხვევით გავრცელდა.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერებმა სხვადასხვა ქვეყანაში SARS-CoV-2-ის გენომის ანალიზისას დაასკვნეს, რომ ვირუსი ველურ ბუნებაშია წარმოქმნილი. ასევე, მკვლევრები იმაზეც თანხმდებიან, რომ კორონავირუსის გავრცელება ღამურებს უკავშირდება, ადამიანებამდე კი მან შუამავალი ცხოველის საშუალებით მიაღწია.

თეორიები კორონავირუსის მკურნალობის გზებთან დაკავშირებითაც გავრცელდა. სოციალურ ქსელებში ადამიანები უამრავ მითს ავრცელებენ, რომელთა მიხედვით COVID-19-ის მკურნალობა ისეთი გზებით შეიძლება, როგორიც ალკოჰოლის ან კოკაინის მიღებაა.

კოკაინის შესახებ მითებმა გავრცელება Twitter-სა და აცებოოკ-ზე დაიწყო, სადაც სხვადასხვა სტატიაში ამტკიცებდნენ, რომ კოკაინის კორონავირუსის მკურნალობის დროს გამოყენება ეფექტიანია. ადამიანებისთვის ამბავი იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრს სპეციალური განცხადების გაკეთებაც კი მოუწია, სადაც იგი ხსნის, რომ კოკაიინი COVID-19-ის სამკურნალოდ არ გამოიყენება – იგი შეჩვევას იწვევს და, შესაძლოა, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები გამოწვიოს.

ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს თეორიები ალკოჰოლზე. ინტერნეტში გავრცელებული არაოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, ალკოჰოლის მიღება კორონავირუსით ინფიცირების რისკს ამცირებს, რაც რა თქმა უნდა სიმართლეს არ შეესაბამება. ალკოჰოლთან დაკავშირებით გავრცელებული ჭორების ფონზე კი ათ მარტს ირანში ალკოჰოლური ინტოქსიკაციით გარდაცვლილი 44 ადამიანი იპოვეს.

უამრავი ზღაპრული თეორია გაგვიგონია, რომელთა რაოდენობა მიმდინარე მოვლენებთან ერთად, განუსაზღვრელად იზრდება. თანაც, ეს მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანას ახასიათებს. თუმცა, შეთქმულების თეორიები განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ტოტალიტარული და პოსტ-ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება ტყუილს და პროპაგანდას ძალაუფლების შენარჩუნებისთვის აქტიურად მიმართავს, ან მიმართავდა. შესაბამისად, ადამიანებს ნაკლებად სჯერათ სხვადასხვა ტიპის გავლენის მქონე ჯგუფების და გამუდმებით ეძებენ ფარულ ზრახვებს მათი ქმედების, ან მიღებული შედეგების მიღმა.

პენსილვანიის შტატში მდებარე ლიჰაის უნივერსიტეტის მეცნიერები დაინტერესდნენ გაერკვიათ, თუ ადამიანთა რომელ ჯგუფს უფრო სჯერა შეთქმულების თეორიების. ახალ ნაშრომში, რომელიც მაისში გამოქვეყნდა, მკვლევარები ყურადღებას ორ ძირითად ფაქტორზე ამახვილებენ.თურმე, შეთქმულების თეორიების უფრო მეტად სჯერა ადამიანთა ორ ჯგუფს. პირველში ერთიანდებიან ისინი, ვინც გაუცნობიერებლად ცოტა დამფრთხალია, ან შეშინებული მიმდინარე სოციალური და კულტურული ცვლილებებით. მეორეში კი არიან ადამიანები, რომლებიც გადაჭარბებულად აფასებენ საკუთარ ცოდნას, ექსპერტიზის დონეს პოლიტიკურ საკითხებში.

> ამ ჩვენ დროში, უცხო სახელმწიფოებში ძნელათ შეხვდებით ახლა იმისთანა ბავშს, რომ ყვაყილი აცრილი არა ჰქონდეს. ამიტომაც ძლიერ იშვიათია რომ იქ კაცი ყვავილისაგან ჰკვდებოდეს. მეტადრე განათლებულ ქვეყნებში დიდი ყურადღებაა მიქცეული იმაზე, რომ ყველა ბავში უეჭველათ აცრილი იყოს. მაგალითათ ნემეცების სახელმწიფოში, გერმანიაში, ამ 24 წლის წინეთ იმისთანა კანონი გამოიცა, რომლის ძალითაც ყველა ბავშისთვის ყვავილი უნდა აეცრათ და ხელმეორეთაც მეათე წელიწადზე. მეორეთ აცრა უეჭველათ საჭიროა და აი რატომ. როგორც აღმოჩნდა, ერთი აცრა მხოლოთ რვას ანუ ათ წელიწადს დაიცავს კაცს ყვავილისაგან, და არა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მას შემდეგ რაც ნემეცებმა შემოიღეს ხსენებული კანონი და თავის ბავშებს ორ-ორ-ჯელ დაუწყეს ყვავილის აცრა, ნემეცების ქვეყანაში ყვავილი იშვიათათ-ღა იჩენდა ხოლმე თავს და მერე და მერე კი ყვავილის ხსენება სრულებითაც მოისპო. დღეს იქაურმა ხალხმა არც კი იცის ყვავილით ავათმყოფობა რასა ჰქვია.
>
> საზოგადოთ რუსეთის სახელმწიფოში ხალხი არც თავის თავს და არც ბავშებს ასე არ უფთხილდება. სამწუხაროთ ქართველებში დღესაც ძლიერ ბევრ ოჯახს იპოვით, სადაც არც ერთ ბავშს არა აქვს ყვავილი აცრილი. ხოლო რაც შეეხება მეორეთ აცრას, ამაზე ხომ სრულებით არავინ ფიქრობს; არამც თუ გლეხებში, თავად-აზნაურებშიაც ძნელათ თუ იპოვით ორ-ჯელ აცრილ ბავშს.
>
> საშინელებაა მეტადრე მიყრუებულ, მივარდნილ სოფლებში, გაუნათლებელი ხალხი ცრუ მორწმუნეობით არის შეჯაჭვული, ამისთანა სოფლებში როცა კი ყვავილი იჩენს ხოლმე თავს, ხოლერაზე უფრო ძლიერ ჟლეტს ხალხს. მერე რა არის ამის მიზეზი თუ არ ხალხის შეუგნებლობა. ცრუ მორწმუნე კაცს ყვავილი რაღაც ანგელოზათ მიაჩნია და ყვავილის აცრა დიდი ცოდვა ჰგონია. ნუ თუ ცოდვათ ჩამეთვლება, რომ ჩემი ბავშისთვის ვიზრუნო, თავის დროზე ყვავილი ავუცრა და მით გადავარჩინო სიკვდილს? ნათქვამია: „ღმერთმა

ჯოზეფ ვიტროილის, კვლევის ერთ-ერთი ავტორის თქმით, დღევანდელ საზოგადოებაში, სადაც ძირეული სოციალური ცვლილებები მიმდინარეობს, გლობალიზაციასთან ერთად, თანდათან იზრდება მოსახლეობის“კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება, ფართოვდება წარსულში მარგინალიზებული ჯგუფების კოლექტიური აქტივობა. ეს ჯგუფები სერიოზულ გამოწვევას უქმნიან სტატუს კვოს და საკანონმდებლო, თუ პოლიტიკურ დისკურსში ცვლილებების დანერგვას ესწრაფვიან“.

ეს ყოველივე საზოგადოებას გარკვეულ უხერხულობას უქმნის“. ხალხის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც წარმატებით სარგებლობდნენ არსებული სოციალური და პოლიტიკური მოწყობით, მოვლენების ამგვარ განვითარებას და მომხდარ ცვლილებებს, საფრთხედ აღიქვამენ და ეს ფაქტორი მას შეთქმულების თეორიების დაჯერებისკენ და მხარდაჭერისკენ უბიძგებს“ – აღნიშნავს ჯოზეფ ვიტროილი.

ასეთ დროს ადამიანებს უჩნდებათ შეგრძნება, რომ“მიმდინარეობს შეტევა საზოგადოების ფუნდამენტურ, მის განმსაზღვრელ ღირებულებებზე“. ვიტროილის თქმით, მიმდინარე სოციალური და კულტურული ცვლილებების შიში, ერთნაირად ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორია როგორც იდეოლოგიური, ასევე იდეოლოგიისგან თავისუფალი შეთქმულების თეორიების.

ნაშრომის მეორე ავტორი ჯესიკა მარში ამბობს, რომ ის ადამიანი, ვინც ზედმეტად აფასებს საკუთარ ცოდნას პოლიტიკაში და თავი პოლიტიკური მოვლენების ექსპერტად წარმოუდგენია, ნაკლებად ინტერესდება ფაქტების გადამოწმებით და ანალიზით. მას ჰგონია, რომ უკვე იცის, რაც მოხდა, ან ეთანხმება იმ მზა ანალიზს, რომელიც მის წარმოსახვას ემთხვევა. ასეთი ადამიანი გაცილებით იოლად იჯერებს, რომ წამყვან მოვლენებში მთავარ როლს ფარული აქტორები ასრულებენ. მათ წარმოსახვაში შემთხვევით არაფერი ხდება, თითქმის ყველაფერს იატაკქვეშა ჯგუფები მართავენ, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ მსოფლიოს მოვლენებზე, პოლიტიკოსთა ქმედებაზე და მიღებულ შედეგებზე.

კვლევის ავტორები მკითხველს მოუწოდებენ, არ დაეყრდნონ მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს და სტერეოტიპებს, არამედ ეცადონ მოძებნონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული აზრები. ამასთან, შეეცადონ მრავალფეროვან წყაროებს გაეცნონ და ნაკლებად ისარგებლონ ცალმხრივად იდეოლოგიზირებული და პოლარიზებული საინფორმაციო საშუალებებით.

„გამოიწვიეთ საკუთარი თავი და გაეცანით ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ ემთხვევა თქვენს რწმენას, დასკვნებს და შეხედულებებს გახსოვდეთ, რომ კომპლექსური მოვლენების გადაჭარბებული, ან ზედმეტად მარტივი ახსნა, შეიძლება არააკურატული იყოს, თუნდაც ეს თქვენს ინტუიციასთან თანხვედრაში მოდიოდეს“ – აღნიშნავს ჯოზეფ ვიტროილი.

დღეს, როცა პანდემია მძვინვარებს და აქედან გამოსავალი მხოლოდ ვაქცინაციაა, ანტივაქსერების არნახული კამპანია მიმდინარეობს, რაც ათასგვარი ზღაპრული ამბების გავრცელებაში გამოიხატება.

ჯერჯერობით კაცობრიობას ვაქცინაზე უკეთესი წამალი – საპროფილაქტიკო საშუალება, ჯერ არ გამოუგონია. ვაქცინებმა გადაარჩინა მილიონობით და ასეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე.

წარმოგიდგენიათ, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა რომ არ არსებობდეს? ის ხომ 100%-ით სასიკვდილო დაავადებაა?

რომ არ არსებობდეს წითელას საწინააღმდეგო აცრა: წითელა 90-იან წლებში, ყოველწლიურად, 500 000 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვს კლავდა. დღეს ეს რიცხვი 100 000-ს ჩამოსცდა და ეს ვაქცინაციის დამსახურებაა;



თქვენ წარმოიდგინეთ, რომ პოლიომიელიტი კლავდა ყოველწლიურად 300-დან 400 ათასამდე ადამიანს. დღეს პოლიომიელიტი მხოლოდ 3 ქვეყანაშია დარჩენილი და ეს გააკეთა სავალდებულო აცრამ; ის, რომ ყვავილი, რომელიც მილიონობით ადამიანს კლავდა, აღარ არსებობს, ეს ვაქცინის დამსახურებაა.

ე.წ. ანტივაქსერული (ვაქცინების საწინააღმდეგო) მოძრაობის წევრები ვერ ეგუებიან რეალობას, რომლის თანახმადაც ვაქცინა უდიდეს სამედიცინო აღმოჩენებს შორის მოწინავე პოზიციაზეა.მაგრამ ჯერჯერობით ამ მოძრაობამ ვერ დაძლია საღი სამედიცინო აზრი და მიდგომა, რომ ვაქცინა არის მედიცინის ერთერთი ყველაზე დიდ აღმოჩენა.

არსებობს აბსოლუტური სამეცნიერო კონსენსუსი, რომ ვაქცინები ძალიან უსაფრთხო და ეფექტიანი გზაა ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველად და მათ ამოსაძირკვად.

მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინა ინფექციასთან ბრძოლის უალტერნატივო საშუალებაა, ყოველთვის, ყველა საუკუნეში ადამიანების გარკვეული ნაწილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ებრძოდნენ მას. ამჯერად შემოგთავაზებთ მე-19 საუკუნის გაზეთიდან ამონარიდს, რომელშიც აღწერილია, ის ვითარება, რომელიც ინფექციურ დაავადება „ყვავილის“ დროს საქართველოში არსებობდა.

ამონარიდი მე-19 საუკუნის გაზეთიდან:

„ამ ჩვენს დროში, უცხო სახელმწიფოებში ძნელად შეხვდებით ახლა იმისთანა ბავშს, რომ ყვავილი აცრილი არ ჰქონდეს. ამიტომაც ძლიერ იშვიათია რომ იქ კაცი ყვავილისგან ჰკვდებოდეს. მეტადრე განათლებულ ქვეყნებში დიდი ყურადღებაა მიქცეული იმაზე, რომ ყველა ბავში უეჭველად აცრილი იყოს. მაგალითათ ნემეცების სახელმწიფოში, გერმანიაში, ამ 24 წლის წინეთ იმისთანა კანონი გამოიცა რომლის ძალითაც ყველა ბავშისთვის ყვავილი უნდა აეცრათ და ხელმეორეთაც მეათე წელიწადზე. მეორეთ აცრა უეჭველად საჭიროა და აი რატომ; როგორც აღმოჩნდა, ერთი აცრა მხოლოდ რვა ანუ ათ წელიწადს დაიცავს ყვავილისგან და არა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც ნემეცებმა შემოიღეს ხსენებული კანონი და თავის ბავშებს ორ-ორჯერ დაუწყეს ყვავილის აცრა, ნემეცების ქვეყანაში ყვავილი იშვიათადღა იჩენდა ხოლმე თავს და მერე და მერე კი ყვავილის ხსენება სრულებთაც მოისპო. დღეს იქაურმა ხალხმა არც კი იცის ყვავილით ავადმყოფობა რასა ჰქვია.

საზოგადოთ რუსეთის სახელმწიფოში ხალხი არც თავის თავს და არც ბავშვებს ასე არ უფრთხილდება. სამწუხაროთ ქართველებში დღესაც ძლიერ ბევრ ოჯახს იპოვით, სადაც არც ერთ ბავშვს არა აქვს ყვავილი აცრილი. ხოლო რაც შეეხება მეორეთ აცრას, ამაზე ხომ სრულებით არავინ ფიქრობს: არამცთუ გლეხებში, თავად-აზნაურებშიაც ძნელად თუ იპოვით ორჯერ აცრილ ბავშს.

საშინელებაა მეტადრე მიყრუებულ, მივარდნილ სოფლებში. გაუნათლებელი ხალხი ცრუმორწმუნეობით არის შეჯაჭვული, ამისთანა სოფლებში, როცა კი ყვავილი იჩენს ხოლმე თავს, ხოლერაზე უფრო ძლიერ ჟლეტს ხალხს. მერე რა არის ამის მიზეზი თუ არა ხალხის შეუგნებლობა. ცრუმორწმუნე კაცს ყვავილი რაღაც ანგელოზი ჰგონია. ნუ თუ ცოდვათ ჩამეთვლება, რომ ჩემი ბავშვისთვის ვიზრუნო, თავის დროზე ყვავილი ავუცრა და მით გადავარჩინო სიკვდილს?...“

დასკვნისათვის კი, შეიძლება ითქვას, რომ შეთქმულების თეორიებს არავითარი მეცნიერული მტკიცებულება და რეალური ინფორმაციის წყარო არ გააჩნია. ეს უფრო გაუნათლებლობაზე, უვიცობაზე და ცრუმორწმუნებაზე მეტყველებს.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# რისი ეშინოდათ ორი საუკუნის წინ ყვავილზე აცრისას



იზოლაციას, ნიღბის ტარებასა და სხვა მსგავს პროფილაქტიკურ რეგულაციებს, რაც ყვავილის ეპიდემიის პირობებში წესდებოდა XIX და XX საუკუნეებში, ხშირად უგულებელყოფდა მოსახლეობა და მეტიც, დასცინოდნენ კიდეც.

პირველი ვაქცინა, რომელიც გამოიყენებოდა მე-19 საუკუნეში ყვავილის წინააღმდეგ, სავალდებულო არ გამხდარა ყველასთვის საფრანგეთში 1902 წლამდე. იმდროინდელი ფრანგული პრესის ინფორმაციით, ხელისუფლებას უწევდა ძალიან ბევრი ადამიანის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა ვაქცინაციისა და რევაქცინაციისა, განსაკუთრებით 1907 წელს, როცა „შავ ყვავილად“ წოდებული ჰემორაგიული ყვავილისგან ბევრი ადამიანი დაიღუპა. თუმცა სანამ ადამიანების დიდი უმრავლესობა საკუთარი სურვილით აიცრებოდა, ფრანგულ საზოგადოებას ვაქცინაციის მოწინააღმდეგეთა დიდი შეტევის მოგერიება დასჭირდა.

მე-18 საუკუნეში ყვავილით ინფიცირებული ყოველი მეხუთე ადამიანი კვდებოდა, დანარჩენებს კი ეპიდემია მძიმე კვალს უტოვებდა: ნაიარევ სახესა და ოფთალმოლოგიურ პრობლემებს, სიბრმავეს.

ამ დროისთვის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყვავილით 10% იყო. მიიჩნევა, რომ ევროპაში ყვავილი აღმოსავლეთიდან გავრცელდა. მიუხედავად ეპიდემიის მძიმე შედეგებისა, საფრანგეთში დიდი კამათი იყო გაჩაღებული ვაქცინაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

ფრანგული საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ყვავილის აცრა იყო მნიშვნელოვანი წვლილი, რაც თითოეულ მოქალაქეს უნდა შეეტანა საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების საქმეში, თუმცა კათოლიკური ეკლესია აცრის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1774 წელს ყვავილით გარდაიცვალა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV, მისი შვილი, ლუდოვიკო XVI კი დაინფიცირდა და ყვავილმა ტრავმები დაუტოვა. გადარჩენილი ლუდოვიკო აიცრა და 1786 წელს ბრძანა ვაქცინაცია სავალდებულო გამხდარიყო ყველასთვის, ვინც სამხედრო სასწავლებელში აპირებდა შესვლას.

ყვავილთან საბრძოლველად ვირუსის ინოკულირების მეთოდი გამოიყენებოდა მანამ, სანამ ინგლისელმა მეცნიერმა ედუარდ ჯენერმა არ აღმოაჩინა, რომ ძროხის ყვავილს შეეძლო ადამიანები ამ ინფექციური დაავადების ეპიდემიებისგან დაეცვა. ცხოველის ამ ვირუსის შესუსტებული ვარიანტის ადამიანის სხეულში შეყვანით იმუნიტეტი უფრო ძლიერი ხდებოდა, ვიდრე ადამიანის ვირუსით ინოკულირების შემთხვევაში.

1800 წელს, ჯენერის კვლევების საფუძველზე, ინგლისში ყვავილის ვაქცინა შეიქმნა, თუმცა მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს მივიდნენ მეცნიერები დასკვნამდე, რომ ერთი დოზით გაძლიერებული იმუნიტეტი არ იყო საკმარისი და ადამიანებს ხელახლა ვაქცინაცია სჭირდებოდათ.

ვაქცინაციას ყვავილის წინააღმდეგ საფრანგეთის ქალაქებში მცხოვრები განათლებული მოსახლეობა ემხრობოდა ძირითადად. ამას მოწმობს იმ დროს გავრცელებული გრავიურები, რითაც აცრისკენ მოუწოდებდნენ საზოგადოებას პრესაში. ამ გრავიურებზე ასახულია 1801 წელს საფრანგეთში დაფუძნებული „ვაქცინაციის კომიტეტის“ მუშაობაც.

მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონმა ვაქცინაცია სავალდებულო გახადა არმიაში, მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოყმანობდა და აცრას არ იკეთებდა. ვაქცინაციასთან დაკავშირებული უამრავი სახუმარო პოსტერიც ვრცელდებოდა საფრანგეთში.

მაგალითად, როგორ უკეთებს ყვავილის საწინააღმდეგო აცრას ცოლი ქმარს, რის შემდეგაც ქმარს რქები ამოსდის. ეს ერთგვარი ალუზია იყო ღალატზე, მაგრამ სხვა მხრივ მსგავსი პოსტერები ვაქცინის „ეშმაკისეულ“ წარმოშობაზე მიანიშნებდა.



იმდროინდელ პრესაში ბევრგან წააწყდებით ვაქცინაციის შემდეგ რქებამოსულ ადამიანებს, რაც მაშინდელი შიშების გამომხატველი იყო: რახან ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა ძროხის ყვავილის დასუსტებულ ვირუსს შეიცავდა, ადამიანები შიშობდნენ, რომ ცხოველების ნიშნები გაუჩნდებოდათ: ამოუვიდოდათ რქები, გამოესხმებოდათ კუდი და ა.შ.ამ შიშების ამსახველია 1907 წლის სახალისო ფერადი გრავიურა წარწერით „აცრის მშვენიერი ეფექტი!“ სადაც გაშარჟებულია უსაფუძვლო შიში.

ან კიდევ 1870 წლის პოსტერი სათაურით „ძროხის ვაქცინის შედეგი!“

ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებისთვის საფრანგეთში სავალდებულო გახდა 1809 წელს, შემდეგ წლებში კი თანდათან სხვა დაწესებულებებისა და ინსტანციებისთვისაც ვალდებულებად იქცა.

მოგვიანებით ვაქცინაციის პროპაგანდაში ჩაერთო ეკლესიაც, არამხოლოდ ვაქცინაციის კაბინეტებში მომუშავე ექიმები და მედდები, არამედ სხვადასხვა დარგის ექიმებიც. საგანმანათლებლო სამუშაოები გულისხმობდა ჩვეულებრივ საუბრებსაც ხშირად აცრამდე, სტიგმებისა და შიშების დასაძლევად.

გაზეთებში, სასკოლო სახელმძღვანელოებში, ახალგაზრდა დედებისთვის განკუთვნილ წიგნებსა და ლექსიკონებში – ყველგან იყო განხილული ვაქცინაციის სარგებლიანობის თემა ვრცლად და ამომწურავად. 1890 წლის ლარუსი – უნივერსალური ფრანგული ენციკლოპედია დიდ წერილს უძღვნის ანტივაქსერებს, მაგრამ მათი მოსაზრებების პასუხად აქვეყნებს არგუმენტებს ვაქცინაციის უალტერნატივობაზე. მე-19 საუკუნის პრესა ღიად გამოდის ანტივაქსერების წინააღმდეგ.

პოპულარული პრესა ვაქცინაციის პროპაგანდას ეწევა, აქარწყლებს მყარი არგუმენტებით ვაქცინაციის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებს, 1880 წელს გამოცემამ „Lე ეტიტ ჟოურნალ„ვრცელი სტატია მიუძღვნა ვაქცინის მნიშვნელობას:

„ნუ მოატყუებთ დედებსა და მამებს. ვაქცინა – ეს არის უსაფრთხო საშუალება ყვავილის წინააღმდეგ, დაუფიქრებლად აცერით შვილები და დაფიქრდით, ვაქცინაცია საზოგადოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობაა“, – წერს მე-19 საუკუნის პოპულარული ფრანგული გამოცემა.

ტერმინი „ვაქცინაცია“ ოფიციალურად ციმბირული წყლულისა და ცოფის აცრების გამომგონებელს, ლუი პასტერს ეკუთვნის, რომლისკენაც ძალიან დიდი კრიტიკა იყო მიმართული. კრიტიკულად განიხილებოდა მისი ცდები ცხოველებზე, საზოგადოების ერთი ნაწილი ბრალს სდებდა, რომ ვაქცინა მან მატერიალური სარგებლის მიზნით გამოიგონა და ა.შ.

საფრანგეთს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმისთვის, რომ ვაქცინაცია სავალდებულო გამხდარიყო 1902 წლის 15 თებერვლიდან.

კანონი ავალდებულებდა მშობლებს ერთი წლის ასაკში აეცრათ ჩვილი, მეორე დოზით კი 10, 11 წლის როცა გახდებოდა.

სავალდებულო ვაქცინაცია საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მიუღებელი იყო, თუმცა საზოგადოებრივმა აზრმა მნიშვნელოვნად დაიწყო ცვლილება მას შემდეგ, რაც 1907 წელს მარსელში ყვავილის ეპიდემიის დიდი აფეთქება მოხდა. პრესის გადმოცემით ამ პერიოდში ქალაქში ყვავილით გარდაცვლილი იმდენი ადამიანი იყო, რომ დილაობითაც კი იმართებოდა დაკრძალვის ცერემონია, ერთმანეთისთვის რომ არ შეეშალათ ხელი გარდაცვლილთა ოჯახებს. 1907 წელს მარსელის ყვავილის ეპიდემია ხშირად იყო მაშინდელი პრესის პირველ გვერდებზე.

თავდაპირველად საზოგადოება იმედგაცრუებული იყო იმით, რომ ყვავილზე აცრილები მაინც ავადდებოდნენ, თუმცა პრესა და სამედიცინო ჟურნალები აქვეყნებდნენ ოფიციალურ სტატისტიკას, რომ აცრილებსა და მით უფრო ორჯერ აცრილებს დაავადება ბევრად მსუბუქად გადაჰქონდათ და აქვეყნებდნენ ასევე სტატისტიკას, რომ აცრილთა რაოდენობის ზრდასთან ერთად იკლებდა ყვავილით გარდაცვლილთა რაოდენობა.

მას შემდეგ, რაც ვაქცინაციის მსურველთა რაოდენობამ იმატა, სატირული ფრანგული პრესა ხშირად აქვეყნებდა ვაქცინაციის ამსახველ სახალისო ნახატებს იმის საჩვენებლად, რომ ახლა უკვე ყველგან იცრებოდნენ ადამიანები, იქაც კი, სადაც საჭირო არ იყო.

ყვავილმა ათასწლეულების მანძილზე ასობით მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. ვაქცინაციის მსოფლიო კამპანიის შედეგად, 1980 წლისთვის, ეს დაავადება სრულად აღმოიფხვრა.

ყვავილი ბოლოს 1977 წელს გავრცელდა სომალიში, მაგრამ ეპიდემია დროულად აღკვეთეს. ყვავილის ვირუსის უკანასკნელი ნიმუშები ამჟერად რუსეთსა და აშშ-ში ინახება.

**წყარო: საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა**

# ებრძოლეთ ჯანმრთელობის ამ 12 პრობლემას უნიკალური სუნელის – დარიჩინის მეშვეობით



*დარიჩინი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო სუნელია. მრავალი კვლევის თანახმად აღმოჩნდა, რომ იგი მხოლოდ საუზმეზე გემრიელი დანამატი როდია. ეს სუნელი მედიცინაში საუკუნეების განმავლობაში გამოიყენება და ბაქტერიების სასიკვდილო ბუნებრივ ანტიბიოტიკსაც კი უწოდებენ. დარიჩინი, არა მხოლოდ ანტიბაქტერიული თვისებების მატარებელია, ასევე არის შესანიშნავი ანტიოქსიდანტი, რომელიც გამძლეობას ანიჭებს ორგანიზმს ბევრი დაავადების მიმართ.*

*თუ გსურთ დარწმუნდეთ დარიჩინის უნიკალურობაში, გაეცანით მის სასარგებლო თვისებებს:*

**1. აძლიერებს იმუნიტეტს**

თაფლისა და დარიჩინის ყოველდღიური მიღება ორგანიზმის დამცავ ფუნქციებს აძლიერებს და მას ბაქტერიებისა და ვირუსებისგან იცავს.

**2. გრიპი და გაციება**

გაციების დროს, დღეში 3-ჯერ მიიღეთ 1 სუფრის კოვზ შემთბარ, ნატურალურ თაფლში გახსნილი ¼ ჩაის კოვზი დარიჩინი.

ეს ნარევი გაგათავისუფლებთ ნებისმიერი ქრონიკული ხველისა და გაციებისგან, გაგიხსნით სასუნთქ გზებს.

ასევე, გაციების საწინააღმდეგო უნიკალური საშუალებაა ლიმონისა და დარიჩინის კომპონენტების ნაერთი.

**3. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები**

თაფლისა და დარიჩინის რეგულარული მიღება აუმჯობესებს სუნთქვას და ამაგრებს გულის კუნთს. აღნიშნული ნარევი დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს სისხლში და ინფარქტისგან იცავს ადამიანს.

**4. აქვეითებს სისხლში შაქრის დონეს**

დარიჩინი განსაკუთრებით სასარგებლოა დიაბეტით დაავადებულთათვის. აღმოჩნდა, რომ დარიჩინი შეიცავს წყალში ხსნად კომპონენტს – პოლიფენოლს, რომელიც ინსულინის შესაძლებლობათა იმიტირებას ახდენს. დარიჩინი, გარდა იმისა, რომ არეგულირებს სისხლში შაქრის დონეს, ორგანიზმის ზოგად გამაჯანსაღებელ საშუალებასაც წარმოადგენს.

დღეში ნახევარი ჩაის კოვზი დარიჩინი საკმარისია იმისათვის, რომ სისხლში შაქრის დონე დაიქვეითოთ.

**5. ახდენს ტვინის მუშაობის სტიმულირებას**

დარიჩინის სპეციფიკური არომატი, ტვინის მუშაობის სტიმულირებას ახდენს, აუმჯობესებს გუნება-განწყობას, ამაღლებს ადამიანის სწავლის უნარს.

**6. ამცირებს კიბოს რისკს**

დარიჩინს შეუძლია შეამციროს კიბოს უჯრედების განვითარება. კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად, მეტად ეფექტური საშუალებაა თაფლისა და დარიჩინის ნარევი.

**7. პირიდან არასასიამოვნო სუნი**

გახსენით წყალში თაფლისა და დარიჩინის ნარევი. ეს სავლები საშუალება მთელი დღის განმავლობაში შეგინარჩუნებთ სასიამოვნო არომატს პირის ღრუში.

**8. სოკოვანი დაავადებები**

თაფლისა და დარიჩინის ნარევის დაზიანებულ ადგილებზე წასმა კურნავს კანის ისეთ რთულ დაავადებებს, როგორიცაა ეგზემა, სოკო და სხვა.

**9. კუჭ-ნაწლავის დაავადებები**

დარიჩინი საუკეთესოდ აწესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას. საკვებში დარიჩინის დამატებით ეხმარებით კუჭს მიღებული საკვების მონელებაში. აგრეთვე, იგი აქვეითებს კუჭის მჟავიანობას, ებრძვის მეტეორიზმს.

**10. ართრიტი**

თუ ართრიტი გაწუხებთ, ყოველდღიურად, დილა-საღამოს მიიღეთ 1 ჭიქა თბილ წყალში გახსნილი 2 კოვზი თაფლი და 1 ჩაის კოვზი დარიჩინი.

**11. თმის ცვენა**

აწესრიგებს სისხლის ცირკულაციას, ანიჭებს თმას ბზინვარებას. განსაკუთრებით ეფექტურია თხელი და ცხიმიანი თმისათვის.

აურიეთ 2 ს/კ დარიჩინი, 2 ს/კ თაფლი და ნახევარი ჩ/ჭ ზეითუნის ზეთი. ნარევი წაისვით თავის კანზე, გაიჩერეთ 15 წუთი და ჩამოიბანეთ ჩვეული წესით. ეს ნიღაბი გამოიყენეთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი თავის კანი მგრძნობიარე არაა.

**12. წონის კორექცია**

დღის განმავლობაში, კვების რაციონში დამატებულ დარიჩინს (მაქსიმუმ 1ჩ/კ მთელი დღის განმავლობაში), შეუძლია წონაში კლება გამოიწვიოს.

შეგიძლიათ ისარგებლოთ ამ რეცეპტითაც: 1/2 ჩაის კოვზ დარიჩინს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათი, გადაწურეთ და დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი. მიღებული ნარევი გააჩერეთ მთელი ღამის განმავლობაში, შემდეგ გაყავით ორ ნაწილად და მიიღეთ დილით უზმოზე და ღამით, ძილის წინ.

გარდა, ზემოთ აღნიშნულისა, ალბათ ყველას გაგიგიათ, რომ ტკბილის ჭამა გონებაზე დადებითად მოქმედებს, თუმცა ხელოვნური დამატკბობლები ორგანიზმისთვის მავნეა, ამიტომ შეგიძლიათ შაქარი დარიჩინით ჩაანაცვლოთ.

გამოიყენეთ იგი ჩაის სახით, ასევე დაამატეთ ყავას, ან ნებისმიერ საკვებს.

**უკუჩვენებები:**

* ნუ მიიღებთ დარიჩინს ორსულობის დროს.

* დარიჩინის გამოყენება არ არის რეკომენდირებული მათთვის, ვისაც აღენიშნებათ სისხლის შედედების პრობლემები.

* კუჭ-ნაწლავის დაავადებების შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიოს კუჭის გაღიზიანება.

* არაა რეკომენდირებული გამოიყენონ ჰიპერტონიკებმა და მათ, ვისაც ახასიათებთ ფსიქიურად ადვილად აღგზნებადობა.

# ყავას შეუძლია ამ ხუთი დაავადებისგან დაცვა

ყავას შეუძლია ხუთი სხვადასხვა დაავადებისგან ადამიანის ორგანიზმის დაცვა. ამის შესახებ განაცხადეს ჰარვარდის უნივერსიტეტის მვლევარებმა. აღნიშნული დასკვნები ეყრდნობა 130 ათას მოხალისეზე ჩატარებულ კვლევას.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა მასშტაბური გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიზანი იყო ადამიანის ორგანიზმზე ყავის მოქმედების შესწავლა. ექსპერიმენტის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ამ სასმელს შეუძლია ხუთი დაავადებისგან დაცვა.

კვლევაში, რომელიც რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა, 130-მა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. შედეგებმა აჩვენა, რომ იმ ადამიანებშიც კი, რომლებიც დღეში ექვს ჭიქა ყავას სვამენ, სიკვდილიანობისა და გულ-სისხლძარღვთა მძიმე დაავადებების რისკი არ იმატებდა.

კვლევამ აჩვენა, რომ ყავის მოხმარება ორგანიზმს იცავს 5 სხვადასხვა დაავადებისგან:

– ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადებებისგან. ყავა ახდენს უჯრედებში ზოგიერთი სასიგნალო გზის ბლოკირებას, რის შედეგადაც, მუხრუჭდება იმ სიგნალების გადაცემა, რომლებიც ნერვული სისტემის ასაკობრივ დაავადებებს იწვევს.

– ყავა იცავს ღვიძლს დაავადებებისგან, მათ შორის ციროზისგან. კვლევამ აჩვენა, რომ იმ ადამიანებსაც კი, რომლებიც ალკოჰოლს ბოროტად იყენებენ, ციროზი იშვიათად ემართებათ იმ შემთხვევაში, თუ რეგულარულად იღებენ ყავას.

– ყავა ამცირებს მოციმციმე არითმიის განვითარების რისკს. ამასთან, მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ თუ ეს დაავადება უკვე აქვს ადამიანს, მაშინ კოფეინის შემცველი სასმელების მიღება პირიქით, უკუნაჩვენებია.

– ყავა ამაღლებს გლუკოზის მიმართ კუჭქვეშა ჯირკვლის მგრძნობელობას, რისი წყალობითაც მცირდება შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი.

– დაბოლოს, ყავა ანელებს ორგანიზმის დაბერების პროცესს. ყავა ისევე მოქმედებს ორგანიზმზე, როგორც კალორიების შეზღუდვა, და ხელს უწყობს სიცოცხლის გახანგრძლივებას.

კვლევის ავტორებმა ასევე განსაზღვრეს დღიური ნორმა, რომელიც დაცული უნდა იქნას იმისათვის, რომ ზედმეტი რისკი არ გამოიწვიოს – ეს არის დღეში არაუმეტეს 6 მცირე ზომის ფინჯანისა. ამასთან, მეცნიერები აცხადებენ, რომ ყავის მოხმარება უნდა შემცირდეს ან საერთოდ უარი ითქვას იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს აქვს ჰიპერტონია, ღვიძლის ან კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადება და, ასევე, ორსულობის დროს.





# ხსნადი თუ ნალექიანი ყავა – რომელია მავნე ჯანმრთელობისთვის?

ყავა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და ბევრისთვის საყვარელი სასმელია. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ე.წ. სხნადი ყავა. თუმცა ისმის შეკითხვა: რამდენად შეიძლება ასეთ ყავას ნატურალური ვუწოდოთ და რითი განსხვავდება იგი მარცვლოვანი, ნამდვილი ყავისგან?

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ მოხალული ყავის მარცვლები საკმაოდ სასარგებლოა. იგი შეიცავს ისეთ ვიტამინებს, როგორიცაა B და PP, და მიკროელემენტებს – კალციუმს, კალიუმსა და რკინას. ნატურალურ ყავაში შედის ასევე სეროტონინი, რის გამოც ეს სასმელი მშვენიერი ანტიდეპრესანტია. გაიხსნეთ, რა სასიამოვნო სურნელი ასდის ახლად მოხალულ ყავის მარცვლებს – სწორედ ეს არის სეროტონინი. ყავის დილით დალევის ტრადიციაც აქედან მომდინარეობს: ეს ნატურალური სასმელი გვეხმარება დღე პოზიტიური განწყობით დავიწყოთ.

ახლა კი ვნახოთ რას წარმოადგენს ხსნადი ყავა. ეს არის ფხვნილი ან გრანულები, რომლებიც მიიღება ნატურალური ყავის კონცენტრირებული ექსტრაქტისგან. იგი პირველად 1901 წელს გამოჩნდა, როცა იაპონური წარმოშობის, ჩიკაგოელმა მეცნიერმა სატორი კატომ მიიღო ფხვნილი მაგარი ყავის სასმელისგან. 5 წლის შემდეგ ინგლისელმა მეცნიერმა, ჯორჯ კონსტანტ ვაშინგტონმა შექმნა ტექნოლოგია სხნადი ყავის წარმოებისთვის და პირველად გამოუშვა სასმელი, სახელწოდებით ლედ ჩოფფეე. მაგრამ პოპულარობა სხნად ყავას მოუტანა შვეიცარულმა სავაჭრო ნიშანმა, ესტლე-მ, რომელმაც 1938 წელს ბრაზილიის ხელისუფლებასთან ერთად, დაიწყო ყავის ამ ახალი ტექნოლოგიის ათვისება.

ხსნადი ყავის მისაღებად ჯერ ყავის მარცვლებს ხალავენ, ფქვავენ და ხარშავენ. მიღებულ ექსტრაქტს აშრობენ და იღებენ ფხვნილს. ამ უკანასკნელს უკვე ვაკუუმ დანადგარებში აშრობენ ან გრანულებად კრავენ.

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, ყავა კარგავს თავის პირვანდელ გემოს, ამიტომ მას უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურ არომატიზატორებსა და გემოს გამაძლიერებლებს უმატებენ. გემოსთან ერთად იკარგება ნატურალური ყავის სასარგებლო თვისებებიც. ამიტომ ნუ დაუჯერებთ რეკლამებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი ხსნადი ყავა აბსოლუტურად ნატურალურია!

გასათვალისწინებელია, რომ კოფეინი, რომელიც ხსნად ყავაში შედის, ორგანიზმიდან გამოსვლას დიდხანს უნდება. აქედან გამომდინარე, ადამიანებისთვის, რო მლებსაც აწუხებთ კუჭნაწლავის პრობლემები, ხსნადი ყავის დალევა სახიფათოა, რადგან კოფეინი ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას, ამან კი შეიძლება წყლულოვანი დაავადებების გართულება გამოიწვიოს. ხსნადმა ყავამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს გულძმარვა, რადგან იგი მაღალი მჟავიანობით ხასიათდება.ასე რომ, თუ ამ ყოველივეს შემდეგ ისევ გიჩნდებათ შეკითხვა, რომელი ყავა აირჩიოთ, პასუხი მარტივია: მიირთვით ნატურალური, ე.წ. ნალექიანი ყავა და იყავით ჯანმრთელნი!

# 5 შეცდომა, რომელსაც ყავის მომზადებისას ვუშვებთ



ყავა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სასმელია. ბევრი ადამიანისთვის ამ არომატული სასმელის გარეშე დღის დაწყება წარმოუდგენელია. ყავას იდეალურია ყველა ამინდში – ზამთრის სუსხიან დღეებში ფინჯანი თბილი ყავა, ზაფხულში კი უგემრიელესი ცივი ყავა... მოკლედ, დღეს სამყარო ყავის გარეშე წარმოუდგენელია!

ბევრი თვლის, რომ ყავის, კერძოდ კი ე.წ. ნალექიანი ყავის მომზადება ძალიან მარტივია და რაიმე განსაკუთრებულ ცოდნას სულაც არ საჭიროებს. სხვები კი დამეთანხმებიან, რომ ყავის მოდუღება ნამდვილი ხელოვნებაა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ხშირად ყავას არა აქვს ისეთი გემო და არომატი, როგორსაც ველოდებით. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს. ჩვენ კი შევჩერდებით ხუთ ყველაზე გავრცელებულ შეცდომაზე, რომელსაც ყავის მომზადების დროს ვუშვებთ ხოლმე.

**1. ვყიდულობთ დაბალი ხარისხის ან ზედმეტად დიდ შეფუთვაში მყოფ ყავას**

ნებისმიერ კარგი სასმელის საფუძველი არის ხარისხიანი ინგრედიენტები. იდეალურია, თუ ყავას სპეციალიზირებულ მაღაზიაებში შევიძენთ, სადაც გამყიდველი ნათლად აგვიხსნის პროდუქტის წარმომავლობას, მის გემოს, მოგვცემს რჩევებს ყავის მარცვლების შეძენისას ან მათი შერევისას.

ძალიან მნიშველოვანია, რომ მარცვლები ახალი მოხალული იყოს. ამის განსაზღვრა არომატის მიხედვით შეიძლება. უმჯობესია შევიძინოთ მცირე ზომის პაკეტები, რომლებიც მჭიდროდაა თავმოკრული.

**2. ვამზადებთ ყავას უცნობი წარმომავლობის ნარევებისგან**

ძალიან ხშირად სუპერმარკეტებში იყიდება რამდენიმე თვის წინ მოხალული და დაფქული ყავა, ან კიდევ ხარისხიან ახალ ყავას ურევენ უხარისხო პროდუქტს მისი გასაღების მიზნით. ასევე, შესაძლოა დახლზე გამოტანილი ყავა კი იყოს ახალი დაფქული, მაგრამ ისეთ ადგილზე მოყვანილი, სადაც, როგორც წესი, გემრიელი ყავა არ მოდის. ასეთი პროდუქტი შედარებით იაფია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1 კგ. ხარისხიანი ყავა ვერაფრით ეღირება 100 ევროზე ნაკლები.

**3. ვიყენებთ ზედმეტად წვრილადან უხეშად დაფქულ ყავას.**

სხვადასხვა ხერხით მომზადებული ყავა სხვადასხვა ხარისხის დაფქვას საჭიროებს. ზოგადი წესით, რაც უფრო ნაკლებად მუშავდება ყავა თერმულად, მით უფრო წვრილად უნდა იყოს დაფქული. ამიტომ, თუ ყავას სახლში არ ფქვავთ და შეძენის ადგილზე აფქვევინებთ, უმჯობესია სთხოვოთ კონსულტატნს თქვენი მოთხვნილებების მიხედვით დაგიფქვათ. სწორად დაფქული და ახლად მოხალული ხარისხიანი ყავა უზრუნველყოფს სასმელის ინტენსიურ გემოსა და მდიდარ არომატს.

**4. არ ვუვლით სწორად ყავის მადუღარას**

მომზადებული სასმელის ხარისხი, მისი არომატი და გემო დიდად არის დამოკიდებული მადუღარასა და საფქვავის (თუ, რა თქმა უნდა მას იყენებთ) მდგომარეობაზე. თუ ყავის მადუღარასა და საფქვავს სუფთად არ ინახავთ, იმედი ნუ გექნებათ, რომ სასმელი გემრიელი გამოვა. გასათვალისწინებელია, რომ მოხალული ყავა შეიცავს ზეთებს, რომლებიც რჩება მადუღარას დეტალებში და გაუწმენდაობის შემთხვევაში, საუკეთესო ყავის გემოს გაფუჭებაც კი შეუძლია.

**5. ვიყენებთ დიდ ჯეზვეს**

გასაგებია, რომ დიდი მოცულობის ჯეზვე უფრო პრაქტიკულია, რადგან საშუალებას მოგვცემს ერთდროულად რამდენიმე ადამიანისთვის მოვამზადოთ ყავა. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ წვრილად დაფქული ყავის ხარშვის დრო არ უნდა იყოს 3 წუთზე ნაკლები და 6 წუთზე მეტი. ერთდროულად დიდი რაოდენობით ყავის მომზადებისას კი ეს დრო, როგორც წესი, მინიმუმ 8 წუთამდე იზრდება, რაც ყავის სიმაგრესაც და გემოსაც საგრძნობლად ცვლის.



# თუ გიყვართ ლეღვი, შეწყვიტეთ რასაც არ უნდა აკეთებდეთ და წაიკითხეთ ეს სტატია!

ლეღვი ყველგან არ ხარობს, მისი ტრანსპორტირება კი თითქმის შეუძლებელია: მკვახედ მოკრეფილი აღარ მწიფდება, მწიფე კი სწრაფად ზიანდება და ტრანსპორტირებას ვერ იტანს.

საბედნიეროდ, ჩვენი ქვეყნის ჰავას ლეღვი კარგად ეგუება, თითქმის ყველგან ხარობს და გემრიელი ნაყოფით გვანებივრებს. იგი ძალიან სასარგებლოა და ორგანიზმისთვის საჭირო უამრავ მინერალსა და ვიტამინს შეიცავს, თუმცა ბევრი უარს ამბობს ამ შესანიშნავი ხილის დაგემოვნებაზე ფიგურის გაფუჭების შიშით. გირჩევთ, დიეტის დროსაც კი, აუცილებლად ჩართოთ ლეღვი თქვენს რაციონში – ნედლი ხილის სახით ის არც ისე კალორიულია (100 გ =62 კ), თუმცა ლეღვის ჩირთან ნამდვილად გმართებთ ზომიერება (100 გ=264 კ).

ცოცხალი ლეღვი შესანიშნავად უმკლავდება შიმშილის გრძნობას. თუ ძირითად კვებას შორის შუალედებში გამუდმებით წახემსების სურვილი გაწვალებთ და გული ძეხვიანი ბუტერბროდისკენ მიგიწევთ, სცადეთ და მის ნაცვლად ლეღვი მიირთვით.

ლეღვში დიდი რაოდენობით რკინაა და იგი რიგ შემთხვევებში ვაშლსაც ანაცვლებს. ასე რომ თუ ანემია გაწუხებთ, აუცილებლად ჩართეთ რაციონში ლეღვი.

ეს შესანიშნავი ხილი კბილის ემალს ამაგრებს, იცავს ღვიძლს. ამიტომ ვინც ალკოჰოლს და ცხიმიან საკვებს ხშირად იღებს, მათთვის ლეღვი წამალიც კია. სწორედ ამ მიზეზით, ლეღვს ხშირად ამატებენ გარნირის სახით ღორის, ცხვრის, იხვის ხორცს.

ლეღვი გაციებისა და ძლიერი ხველის დროსაც ძალიან სასარგებლოა. ამ დროს მდუღარე რძეში გამომშრალ ჩირს ყრიან და 15 წუთი აყენებენ, შემდეგ კი თბილს სვამენ დღეში სამჯერ.

ლეღვის სიროპს მატონიზირებელი თვისებები აქვს, მადას აუმჯობესებს და საჭმლის მონელებასაც უწყობს ხელს. სასარგებლოა მათთვის, ვისაც მეხსიერებასთან პრობლემები აქვს, შარდკენჭოვანი დაავადებები ან რევმატიზმი აწუხებს.

ძველ დროში, ექიმები ლეღვს იყენებდნენ მკერდში ტკივილის, არითმიის და ბრონქიალური ასთმის დროს. პაციენტებს ურჩევდნენ მიეღოთ ეს ხილი უზმოზე და ყოველი ჭამის წინ.

ზოგიერთი ექიმის აზრით, ლეღვი შესანიშნავი საშუალებაა ნაბახუსევზე – რამოდენიმე ცოცხალი ნაყოფი ნებისმიერ სხვა საშუალებაზე უკეთ ხსნის უსაიმოვნო შეგრძნებებს.

ბეტა-კაროტინი, ფოსფორი, კალიუმი, მაგნიუმი, C და B ჯგუფის ვიტამინები, ანტიოქსიდანტები, ამინომჟავები – ლეღვში ყველაფერია თავმოყრილი. ასეთი შემადგენლობის წყალობით, მას მსუბუქი ანტიდეპრესანტიც შეიძლება ვუწოდოთ: აუმჯობესებს განწყობას, ებრძვის სტრესს, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, აძლიერებს იმუნიტეტს. თუ მძიმე და კონფლიქტური სამუშაო გაქვთ, აუცილებლად წაიყოლეთ სამსახურში ცოცხალი ან გამომშრალი ლეღვი და დღის განმავლობაში მიირთვით.

ლეღვს თქვენი გარეგნობის უკეთესობისკენ შეცვლაც შეუძლია. დაიდეთ მისი პიურე სახეზე, ხელებსა და დეკოლტეს ზონაზე, გამოიყენეთ როგორც თმის ნიღაბი – ლეღვი კანს ატენიანებს, კვებავს და აუმჯობესებს მის ფერს, ხოლო თმას ბზინვარებას ანიჭებს.

სასარგებლო და გემრიელი ლეღვისგან უამრავი რამის მომზადება შეიძლება: ჩაამატეთ სალათებში, გარნირად ხორცთან, გამოაცხეთ ღვეზელები და ტარტები. კლასიკურ შეხამებად ითვლება ლეღვის და თხის ყველის ან მოცარელას სალათა, ცოტაოდენი შავი ბალზამიკოთი და სალათის ფოთლებით. მართლაც საოცრად გემრიელია და მარტივი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ88.88212321
თარიღი:20/08/2021

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" თანახმად

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს გივი ზაუტაშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 მარტის #126 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო" კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში(მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

როსტომ სესიაშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

## ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს საჯარო აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშიარსებულ შემდეგ ქონებაზე

| ლოტის N | ქონების დასახელება და მისამართი | სავარაუდო წონა (კგ.) | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილ. ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ნედლეული - ჯართი (ექსკავატორ-დამტვირთველი JCD) | 1500 | 2700 | 540 | 140 | 50 |

| ლოტის N | ქონების დასახელება | გამოშვების წელი | სახელმწიფო ნომერი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილ. ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავტომანქანა ვაზ21214 (ნივა) | 2005 | GL211LG | 2500 | 500 | 130 | 50 |

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563332; 300563288

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე"-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2021 წლის 28 სექტემბერს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2021 წლის 30 აგვისტოდან 28 სექტემბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი № 599 855 993; №577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

# ნატა ბერიაშვილი-ალექსიშვილი



იგი, საუკეთესო ადამიანი იყო, თავისი ზედმეტი ჩვეულებრიობით და მთელი თავისი ცხოვრება, ჯვარზე გაკრულმა ატარა. ახლობლების, ოჯახის, მეუღლის, შვილების, ნაცნობების, თანამშრომლების, უცნობების სატვირთ ჯვარსაც თვითონ ტვირთულობდა და ამას, ისე ღებულობდა, როგორც ჩვეულებრივ ამბავს. ისე ბედნიერად გრძნობდა თავს ამ ტვირთის ტარებით, რომ სხვა ვერც ხვდებოდა მისი ჯვრის სიმძიმეს.

საუკეთესო, ღვთისნიერ, ყველას გამკითხველ ოჯახში აღიზარდა. ეკონომიურად არასდროს უჭირდათ, თუმცა, იმდენად შრომისმოყვარე იყო, რომ, სულ პატარა, სკოლიდან დაბრუნებული, ხელში პურის ნატეხით, მეურნეობის ზვრებში გარბოდა მშობლების დასახმარებლად. მერე, პატარა, კაფანდარა გოგო, უზარმაზარი, ულამაზესი თვალებით და ორი საოცრად გრძელი და მსხვილი ნაწნავით, დაღლილ-დაქანცული, ლამფის შუქს მიუჯდებოდა (რომელსაც ცალ მხარეზე ქაღალდი ჰქონდა ჩამოფარებული, ნაჯაფი მამა რომ არ გაეღვიძებინა) და ყველა გაკვეთილს ისე მოამზადებდა, მეორე დღეს პედაგოგები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მისი მოსმენით. ამიტომაც დაამთავრა სკოლა ოქროს მედლით, სამედიცინო ინსტიტუტი კი, წითელი დიპლომით.

უსათნოესი გული ჰქონდა, ნაზი და მიმტევებელი. ყველას სიხარულს და ტკივილს, როგორც საკუთარს, ისე აღიქვამდა, იმდენად ზედმეტადაც კი, რომ ამ გაუტანელ სამყაროში, ბევრს, შეიძლება, არც ესმოდა მისი.

ის კი ჩუმად, ზედმეტად აფიშირების გარეშე აკეთებდა თავის და სხვის გასაკეთებელ საქმეს. გაჭირვების დროს ღამეებს ათენებდა ოჯახში, სამსახურში, სტუმრებთან, ნაცნობებთან, მეგობრებთან, უცნობებთან, ღვთის წინაშე მართალი რომ ყოფილიყო.

არასდროს უთქვამს დავიღალეო. არც მაშინ, როცა საშინელი ტკივილით იტანჯებოდა. ყოველთვის მაგალითის მიმცემი იყო ირგვლივ მყოფთათვის. თუ რამე ცოდვა ჰქონდა, თუნდაც უნებლიედ ჩადენილი, თვენახევრის განმავლობაში გამოისყიდა, რადგან ღვთის სამდურავი წამითაც არ დასცდენია, ბოლომდე მადლობდა უფალს, ბოლომდე ლოცავდა ნაცნობს და უცნობს, მტერს და მოყვარეს, ბოლომდე ტკბებოდა სიცოცხლით, სარეცელს მიჯაჭვული.

დედა ენატრებოდა, სულ მის სულს ეფერებოდა, მას ესაუბრებოდა. გვასწავლიდა ნამდვილ შვილობას.

ორი ზედიზედ მიყოლებული ამოსუნთვით შეუერთდა ზეციურ საუფლოს. მამაო ჩვენოთი და საკუთარი მოძღვრის ხსენებით, რომელიც შვილივით უყვარდა.

5 აგვისტოს შენი დაბადების დღე იყო, დედა, რომელსაც ყოველთვის ერთად აღვნიშნავდით, – პირველი დაბადების დღე, როცა გულში ვერ ჩაგეხუტები და ვერ მოგეფერები, როცა შენი ტკბილი ხმით და შუბლზე ამბორით არ დაგვლოცავ შენს მონაგარს.

მიჭირს უშენობა, დედა. ვგრძნობ, რომ არ გვტოვებ, ყველაფერში ვგრძნობ შენს შემწეობას, მაგრამ შენი სითბო მენატრება დედა, შენი გულიდან ამოსული „გენაცვალოს დედა", მენატრება, დედიკო.

დაბადების დღეს გილოცავ დედა, მეტი რა დამრჩენია, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ულამაზესი სული.

ძალიან ტკივილიანია უშენობა დედა!

**ელზა ალექსიშვილი**

**ალიკა, ლალი და მერი ხეთაგურები მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარის, ეკას და სიმონს სიდედრის, დედის, მეუღლის ზიზი ჩოხელის გარდაცვალების გამო.**

# სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამა იწყება!

პროგრამა ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას მოიცავს.

პროგრამით დადგენილი პირობით, შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი.

თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე განისაზღვარა შემდეგი პირობით.

თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს 20,000 ლარამდე თანხას, თანადაფინანსება შეადგენს სასოფლო – სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 35%-ს;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 20,000 – ლარიდან 100,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში თანადაფინანსება შეადგენს ღირებულების 35%-ს;

თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 100,000 ლარს თანადაფინანსება განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 30%-ით.

ამავე პირობებით დაფინანსდება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიისგან" სასოფლო – სამეურნეო ტექნიკის, მათ შორის კომბაინების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში განცხადებები მიიღება 2021 წლის სექტემბრიდან, ელექტრონული ფორმით. პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვა განხორციელდება წარმოდგენილი განაცხადების რიგითობის შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ აგვისტოს თვეში იქნება ხელმისაწვდომი.



# საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მიუკერძოებლად და სამართლიანად გაშუქების მიზნით, გაზეთ „ყვარელში", რომელიც პანდემიის გამო გამოდის თვეში ერთჯერ, ფასიანი რეკლამისათვის გამოყოფილია A-3 ფორმატის ორი გვერდი, ანუ 24444 კვადრატული სანტიმეტრი, ხოლო უფასო რეკლამისთვის 444 კვადრატული სანტიმეტრი.

ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს გაზეთის ერთი გვერდი 2/3 ფართობი, რომლის ტარიფია 150 ლარი, ხოლო უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილია ერთი გვერდის 148 კვადრატული სანტიმეტრი.

წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთის ფართობის შესყიდვა უნდა განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების წესით.

**შპს „მედია-ცენტრი**

# „უნდა დავხატო მზის გულზე მზე...“



პოეტი, კომპოზიტორ-შემსრულებელი, მრავალი წარმატებული საღამოს კონფერანსიე; ორგანიზაცია „ქართული გვარების„რეჟისორი, ამავე ორგანიზაციის მიერ დამზადებული დოკუმენტური ფილმების – „ძველი ქართული გვარების ისტორიები„-ს გამხმოვანებელი; საქართველოს ტრადიციული კულტურისა და ხელოვნების გაერთიანება „ქართველი„-ს ფუძემდებელი (2019); მსახიობი, ავტორ-შემსრულებელი, რეჟისორი და მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ღონისძიებების ავტორი; საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემიის „გულანი„-ს წევრი (აკადემიის პრეზიდენტი პოეტი და მწერალი ქ-ნი ნაირა მარშანია); წმინდა ილია მართლის გაზეთ „ივერიის-„სახელობის პროზა-პოეზიის საერთაშორისო პრემია „ივერიის„წმ.ილია მართლის ორდენოსანი, „ქართული ელიტის წლის პოეტად„აღიარებული (2021 წ.);

პოეტ გერმანე საზანოელის პოეზიის კრებულში „ლექსის აკვანი„-ს III ტომში შესულია მისი ლექსები:„არსად არ წასულა დარდი„, „მეჯლისზე წაველი ფიქრით შენთან ერთად„ (2020 წ.); ქალბატონ ნაიარა მარშანიას „ანთოლოგიის„პირველ ტომში შეტანილია ლექსები:„სიბერე„, „სინანულისთვის„,„უცნაური შეხვედრა„, „ღამე და უშენობა„, „ქარი-ქალი„, „ვიყო პოეტი არასოდეს ვფიქრომ ამ სურვილს„, „დამიბრუნდი„, „ცხოვრება„, „მეგობარს„ (2020 წ.).

იოანე ქართველი, იგივე ვანო პატარქლიშვილი, როგორც იცნობს მას ყვარლის საზოგადოება, უდავოდ მრავალფეროვანი შემოქმედებითი ნიჭიერებით დაუჯილდოვებია მრავალმოწყალე ღმერთს. იყო პოეტური სულისკვეთების, თავისთავად მეტყველია მგრძნობიარე ბუნების მატარებლობის; სულის, რომელიც საზრდოობს სიყვარულით თავისი მრავალფეროვანი მიმართულებებით, განსაკუთრებით კი – ტრფიალით, მიჯნურობით, სენტიმენტალური გრძნობებით მომხიბლავი მშვენიერი ქმნილებების მიმართ. ის ტყვეა სილამაზის, მომნუსხველი ღიმილის, ჰაეროვნების ქალთა მშვენებაში. ვინც ახლოს იცნობს მას, მისთვის უცხადესია, რომ მუდმივად შეყვარებულია. საკუთარ პოეზიაში თავად ამბობს:„... მე ის ვარ ყოველ ღამე ფანჯრიდან რომ გასცქეროდა ცაზე მოჭედილ ვარსკვლავებსა და მთვარეს... ის ვარ, ბავშვობიდან რომ უყვარს ოცნება და ფიქრი, დაფრინავდა სიხარულით სიკეთით ფრთებშემოსხმული, ტკივილებით დაღლილი და მაინც ღიმილიანი... ის ვარ,ვინც ხედავს ორი ფერის მელანქოლიას: თეთრსა და შავს... არ დავსრულდები, მე ისევ ვივლი, უშორეულეს ჰორიზონტს ვხედავ...“უყვარს ადამიანი მთელი თავისი ღირსებითა და სისუსტეებით, ნაკლოვანებებით. თვით სიძულვილსაც კი სიყვარულით იწვევს საცეკვაოდ:„მინდა სიძულვილს სიყვარულით ვეცეკვო ტანგო...“; ის ერთდროულად ცხოვრობს წარსულთან და აწმყოსთან ერთად, თითქოს და ენანება მისავიწყებლად გაუშვას ადამიანები, ვისთვისაც გრძნობა დაუხარჯია, სტროფი მგზნებარედ მიუძღვნია, შთაგონებად ქცეულა, მუზის ქალღმერთად, ერთხელ მაინც ოცნებაში ჩაძირულა. ოცნება ხომ რომანტიკოსების უკურნებული „სნეულებაა„, მარადიული უსასრულობა, ხანგრძლივი სუნთქვა:„ცაზე ჩემი მზის აღმოჩენამდე უსასრულოა თეთრი ოცნება...“; კაცთმოყვარე სული ღაღადებს ღვთაების წინაშე:„უფალო, ვიდრემდის გამიყვან მიწიდან, უნდა დავხატო მხის გულზე მზე... დამალოცვინე ცოდვებისათვის, ცოდვათა სიმძიმე მამძიმებს მე; ვიტვირთო მინდა სხვისი ცოდვებიც, უნდა დავხატო ამისთვის მზე!„ანდა:“ ვწერ, სიჩუმისთვის დრო არ მეთმობა, არ მინდა ვნახო ძმა ძმისა მტერი;ვეღარ გავუძლებ სიმართლის ჩაგვრას, სამშობლოს ცაზე თითქმის მზე ჩაქრა... მინდა ბრწყინავდეს მთლად დედამიწა!.. მხოლოდ ერთს ვითხოვ, ზეცაო შენგან, გადაარჩინო ყალბი დროება; არ მინდა ვცოდო და მე ვიწამო, ამ წუთისოფლის ამაოება...“; სამშობლოსადმი სიყვარულს კი ასე გამოხატავს:

„ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ
სულისმიერი,
გულით ნაგრძნობი სიყვარულით
ცამდე შთანთქმული;
უბრალო კაცის ლუკმა-პურით
ვარ ბედნიერი,
არ ვეტრფი უცხოს, მიყვარს ზეცა
ჩემი ქართული“.

რაც მეტად საინტერესოა, მოკრძალებული ბუნება საკუთარ თავს პოეტს არც უწოდებს:„... არ დამაბრალოთ პოეტობა, ცოდვას ჩაიდენთ; ისე, უბრალოდ, განცლილი გზები ლექსად მწვდებიან...“

რა არის მისთვის ხელოვნება? ის ამბობს:„ხელოვნება ჩემი სულის სიდიადეა; თეატრი, ურომლისოდაც ჩემი სიცოცხლე არაფერია... რასაც არასდროს არ მივატოვებ, ხელოვნებაა!„მისთვის ხელოვნება ის საფიცარია, რომელსაც ვერ სთმობს სირთულეების მიუხედავად.

ჯერ კიდევ 2019 წლიდან იოანეს მიერ დაარსებულმა გაერთიანებამ „ქართველმა„მიზნად დაისახა ქართული საზოგადოების წინაშე წარედგინა ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებმაც სულიერი აზროვნებისა და შემოქმედებითი კულტურის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს, საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს, დაუვიწყარი სახასიეთო სახეები შექმნეს, დამაფიქრებელი და მნიშვნელოვანი: შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის მსახიობ ჯემალ ღანიძისადმი მიძღვნილი უმშვენიერესი საღამო; დამსახურებული არტისტის ლეო ანთაძის საღამო – „ღვაწლმოსილი„; ქალბატონ თამარ სხირტლაძის 90 წლისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი, ამაღელვებელი საღამო – „ეპოქის დედოფალი„; ომარ მხეიძის 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღე.

იოანე ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია გენიალურ კომპოზიტორ მანანა იმედაძეს, რომელმაც მისი სპეციფიკური ხმისთვის შექმნა სიმღერა „უშენოდ„; ასევე, რეზო სტურუას ლექსზე სიმღერა „მიყვარხარ„. საკუთარ გრძნობებს, ემოციებს, სურვილებს, წყურვილს მხოლოდ პოეზიის მუსიკანობით როდი გადმოსცემს. იოანე გულწრფელი და ფაქიზია, მელანქოლიურიც კი საკუთარ სიმღერებში: „წვიმს„, „უშენოდ გაილია დღე„, „ფიქრებში მაინც დარჩი„, „მიდიან შორს„და სხვა მრავალი. იოანეს შემოქმედებაში, პოეზია იქნება ეს თუ ამღერებული მელოდია, უსრული თვითგამოხატვაა ნატკენი სულის, გატეხილი წლების, იმედგაცრუების, რწმენის, ღვთისადმი სასოების, მოლოდინის. მის შემოქმედებაში სიბრაზის მოტივებიც იგრძნობა, თითქოს და პროტესტს გამოხატავდეს მიუღებლობისა და დაღლილობის მიმართ,თუმცა არასდროს ღალატობს მთავარ იდეას:„არ დაიჯეროთ, მიყვარხართ!„სურს გარშემო ადამიანი მარად მზეობდნენ სიკეთის სხივით, კეთილშობილებით, ბედნიერებით... დიახ, მას სურს ადამიანი იყოს ბედნიერი! მისმა სიმღერებმა დაიპყრო მსმენელი თვით საქართველოს ფარგლებს მიღმაც კი.

2020 წლის საქართველოს მუსიკალური დაჯილდოების „მეგა„-ს 21 ცერემონიალზე (სოლიდარობა ქართველ ექიმებს) „ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პრემიით„დაჯილდოვდა.

ოანე ქართველმა საკუთარი პიროვნება სრულიად გამოსახა თეატრალური როლების განსახიერებით სპექტაკლებში „გლახის ნაამბობი„ (ილ.ჭავჭავაძე), „საშობაო ღამე„, „ბახტრიონი„, „ძველი ვოდევილები„„პორტოპოლოს ტუსაღები„. სხვადასხვა შემოქმედი და ხელოვანი ხალხის მიერ ინსცენირებულ მონო-სპექტაკლებში.

მიმდინარე წლიდან იოანე ქართველი გვევლინება ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებულ კოტე მარჯანიშვილის სახ. სახალხო თეატრის დამდგმელ რეჟისორად. 6 ივნისს დიდი ანშლაგით შედგა მის მიერ წარმოდგენილი პრემიერა ილ. ჭავჭავაძის მიხედვით „ქართვლის დედა“.

**ეკატერინე ავაზაშვილი**

# „მის სამყაროს“ კონკურსის გამარჯვებული



*__მისი დოსიე:__ თათია გელაშვილი დაიბადა 2008 წლის 28 ივნისს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში. 5 წლის ასაკში მშობლებმა ჩამოიყვანეს საქართველოში, რადგან დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ მიეღო ქართული განათლება. სამეჯლისო და ხალხური ცეკვების განსაკუთრებულ ნიჭს 3 წლიდან ამჩნევდნენ და საქართველოში ჩამოყვანისთანავე შეიყვანეს სამეჯლისო და ხალხური ცეკვების წრეზე, ასევე საბავშვო ანსამბლ „ანა-ბანაზე“. ბავშვობიდან ხატავს, იტაცებს ძერწვა და გამოქანდაკება, ასტრონომია. ძალიან უყვარს კითხვა. ხალხურ და სამეჯლისო ცეკვებზე სიარულის დროს მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში: 2017 წელს დაჯილდოებულია ლაურეატის დიპლომით ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში „შემოდგომის რიტმები“ მონაწილეობის და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის, 2019 წელს ფოლკლორულ ფესტივალში „ეროვნული საგანძური“ ლაურეატის წოდებით. ასევე 2019 წლებში მონაწილეობა მიიღო კონკურსში „შიდა ქართლის“ თასი და სამეჯლისო ცეკვების „ახალგაზრდულ ფესტივალში“. 2021 წლის 19 ივნისს დააჯილდოვეს დიპლომით „არტკლუბი“ ეო.რტ. ჟესტ – მონაწილეობის და საუკეთესო შესრულებისთვის. დაამთავრა ყვარლის სამუსიკო სკოლის 6 წლიანი სასწავლებელი. მიმდინარე წლის 25 ივნისს კი მონაწილეობა მიიღო „სამოდელო სააგენტო ნიუ მოდელის“ მიერ ჩატარებულ სილამაზის კონკურს „მის პრინცესა საქართველო“ 2021 წელს, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. 80 მონაწილიდან, თათიამ „მის სამყაროს“ მესამე ადგილის ტიტული მოიპოვა.*

*თათიას თავის მშობლებთან ერთად შევხვდით და ერთი შეხედვით მშვიდ და ლამაზად მომზირალ პატარა ქალბატონთან ეს ინტერვიუ ჩავიწერეთ.*

**– როგორი იყო შენი განცდა პოდიუმზე გასვლის წინ?**

– პოდიუმზე გასვლის წინ აღელვება და განცდა ბუნებრივია ყველა მონაწილისთვის, თუმცა მე 5 წლიდან ვცეკვავ და ფართო აუდიტორია ჩემთვის უცხო არ არის. ასეთ კონკურსში პირველად ვიღებდი მონაწილეობას, ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობდი შინაგან ემოციას ჩემს გამოსვლაზე არ ემოქმედა.

**–სცენაზე მაკიაჟით იდექი, თუ ბუნებრივი სილამაზით?**



– სცენას მაკიაჟი უხდება, ამიტომ სხვა მონაწილეების მსგავსად მეც მინდოდა მაკიაჟით ვყოფილიყავი. თუმცა კონკურსის ვიზაჟისტმა, ჩემი გარეგნობიდან გამომდინარე, არ ჩათვალა საჭიროდ. ასე, რომ სცენაზე ბუნებრივი სილამაზით გავედი.

**– შენს გარშემო ბევრი ლამაზი გოგო იყო, გქონდა იმედი, რომ გაიმარჯვებდი? 80 კონკურსანტში დიდი მიღწევაა „მის პრინცესა საქართველო“ გახდე.**

– გეთანხმებით, კონკურსში ბევრი ლამაზი გოგო იღებდა მონაწილეობას, კონკურენცია ნამდვილად დიდი იყო, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს, თავდაჯერებულად ვიდექი, ყველა მითითებას მაქსიმალურად ვასრულებდი და კონკურსის ბოლომდე მჯეროდა, რომ რაღაც ტიტულს აუცილებლად დავიმსახურებდი.

**– როდესაც გამოაცხადეს, რომ კონკურსის მესამე ადგილის გამარჯვებული გახდი, რა გრძნობა დაგეუფლა?**

– არასოდეს დამავიწყდება ის გრძნობა, რაც იმ წუთებში განვიცადე. ეს იყო უდიდესი სიხარულის და ბედნიერების განცდა, რომელიც გინდა, რომ არ დასრულდეს. ამაყი და გაბრწყინებული ვიდექი სცენაზე და თვალწინ გამირბინა იმ გზამ, რომელმაც აქამდე მომიყვანა; ეს იყო ჩემი და დედას თავდაუზოგავი შრომა რეპეტიციებზე სიარულის დროს. მიხარია, რომ დაგვიფასდა დახარჯული დრო და ენერგია. ამად ღირდა ყველაფერი! ყველას ვუსურვებ მსგავსი ბედნიერი წუთების განცდას.

**– გეამაყება, რომ ლამაზი ხარ? ეს გარეგნობა რაიმე ცვლილებებს ხომ არ იწვევს შენს ბუნებრიობაში, – ამაყი და ქედმაღალი ხომ არ ხდები?**

– ლამაზი გარეგნობა ყოველთვის ყურადღებას იქცევს. მე ვფიქრობ ეს სასიამოვნოა, როდესაც ხალხს მოსწონხარ. თუმცა გარეგნობა ჩემს ბუნებრიობაში ცვლილებას არ იწვევს, პირიქით, ჩემს თვალში უფრო დაფასებულია კეთილი, შრომისმოყვარე და უანგარო ადამიანი. ქედმაღალი არასდროს არ ვყოფილვარ და არც პატივს ვცემ ასეთ ადამიანებს.

**– სასიამოვნო შესახედაობის გრძელი თმა გაქვს, ვარცხნილობის შეცვლას ხომ არ აპირებ?**

– ბავშვობიდან სულ გრძელი თმა მაქვს, მიხდება კიდეც, თუმცა მომწყინდა. ამიტომ უახლოეს მომავალში აუცილებლად შევიცვლი ვარცხნილობის სტილს.

**– როცა გაიმარჯვე და სკოლაში მიხვედი, როგორი იყო შენი თანაკლასელების რეაქცია, როგორ შეგხვდნენ შენი მეგობრები, მასწავლებლები?**

– კონკურსი ჩატარდა 30 ივნისს, სკოლაში უკვე საზაფხულო არდადეგები იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა გვირეკავდა და გულით გვილოცავდა – მეგობრებიც და მასწავლებლებიც. კონკურსის წინა დღეს, სამუსიკო სკოლაში მქონდა გამოსაშვები საღამო. არ დამავიწყდება როგორ დამლოცეს პედაგოგებმა და წარმატება მისურვეს. ვფიქრობ, მე ყველას იმედი გავამართლე.

ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით უდიდეს მადლობას გადავუხდი ჩემს უსაყვარლეს მასწავლებელს –მარინა ცქვიტიშვილს, რადგან მისი დამსახურებაა, რომ მე წარმატებით დავამთავრე სამუსიკო სკოლა. ასევე ულრმესი მადლობა ჩემს საყვარელ ქორეოგრაფებს – თათია ხიზანიშვილს და ნინო ჩიხიაშვილს, მათაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს წარმატებაში.

მინდა ასევე მადლობა გადავუხადო იოანე ქართველს, რომელიც იყო კონკურსის იმპრესარიო. მან ისე გამომაცხადა და ისე კარგად დამახასიათა, რომ უდავოდ გამარჯვებულს უნდა დამეტოვებინა დარბაზი.

**– როგორც დედა ამბობს, თავიდანვე გამრჯე ბავშვი იყავი. ასეა?**

– ბავშვობიდან მიტაცებდა ხელოვნება. ვძერწავ, ვხატავ, ვაქანდაკებ. 3 წლის ვიყავი, როცა თოჯინებისთვის ქაღალდის ხელსახოცით ვქმნიდი ნაირ-ნაირ კაბებს

**– ვინ არის შენთვის ყველაზე საყვარელი მწერალი, და როგორც სამუსიკო სკოლადამთავრებული, რომელი ქართველი ან უცხოელი კომპოზიტორების სიმღერები მოგწონს?**

– კითხვა მართლა ძალიან მიყვარს. ჩემი ყოველდღიური საზრდო წიგნია. რათქმა უნდა, მყავს ბევრი საყვარელი მწერალიც. მათ შორის გამოვარჩევ ილია ჭავჭავაძეს და ნოდარ დუმბაძეს. კომპოზიტორებიდან – რევაზ ლაღიძეს და მის სიმღერებს.

**– ჯერ კიდევ პატარა ხარ და ნაადრევია ამაზე ფიქრი, მაგრამ მაინც გკითხავ, – რა გზას აირჩევ, რა გზით წავა შენი ცხოვრება?**

– სიმართლე გითხრათ ჯერ არ ვარ ჩამოყალიბებული, მაგრამ უფრო ხელოვნებას დავუკავშირებ ჩემს მომავალს.

**– ნატვრა, რომელიც ცხოვრებაში გინდა აგიხდეს.**

– დღეს სხვა რა უნდა ინატროს ადამიანმა, თუ არა ჯანმრთელობა. მინდა ჩემს ირგვლივ ყველა ბედნიერი იყოს. ადამიანები ბოროტების ნაცვლად, უფრო მეტ სიკეთეს ასხივებდნენ და თესავდნენ. ვისურვებდი, რომ მომავალი თაობა დიდ დროს უთმობდეს კითხვას და არა სოციალურ ქსელს! ასევე ჩემი ნატვრაა ერთიან და გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრება.

უხარიათ თათიას წარმატება გელაშვილების ოჯახს, მის მშობლებს, – ბატონ ალექსანდრეს და ქალბატონ ლალის, პატარა და-ძმებს, – მარიამს და გიორგის, ყვარლის პირველი საჯარო სკოლის პედკოლექტივს, მის აღმზრდელ-მასწავლებლებს, თანაკლასელებს, რომლებიც ასეთი წარმატებული მოსწავლის გვერდით სხედან.

რაც მთავარია, არის ლამაზი გარეგნობის, მშვიდი ბუნების, გაწონასწორებული, უკეთილშობილესი გოგონა. სწავლობს ძალიან კარგად; თითქმის ყველა საგანს ითვისებს ადვილად, ცეკვავს და არის მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული. ამიტომ გამორჩეული იყო სამუსიკო სკოლაშიც. ძალიან მეგობრულია, თავმდაბალი და სხვას არ აწყენინებს არაფერს. მჯერა, რომ ასეთი წარმატებული და წარჩინებული მოსწავლე ამ კონკურსებში კი არა, მრავალი სახეობის კონკურსშიც გაიმარჯვებს, წარმატებას ვუსურვებ დიდი სიყვარულით. ასე ახაიათებს თათიას მისი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი ნინო იშხანიძე. ჩვენც პატარა, ლამაზ ქალბატონს ვულოცავთ ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ, რომ ყოველთვის წარმატებული და სიხარულით სავსე ყოფილიყოს მისი მომავალი.

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86